# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 17 ოქტომბერი 2006 №240 (2862) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ღირსების ამბავი: ელენემ მიიღო ის, რაც დაკარგეს რუსებმა



რუსულ-ქართული დიპლომატიური ომი და ჩრდილოეთ სამეზობლოდან ქართველების მასობრივი გამორეკვა ტურინის ზამთრის ოლიმპიადის აღმოჩენას და ჩვენი ფიგურული ციგურაობის იმედს, ელენე გედევანიშვილსაც შეეხო. უკვე ათი წელია, გედევანიშვილი მშობლებთან და ძმასთან ერთად მოსკოვში ცხოვრობდა და იქ ცნობილ მწვრთნელ ელენა ვოდორეზოვასთან ვარჯიშობდა.

ამ უქმეებზე ელენემ ავსტრიაში, კარლ შეფერის მემორიალურ ტურნირზე ისრიალა და იჩემპიონა კიდეც, მაგრამ ავსტრიიდან მოსკოვში კი არ მიბრუნდა, დედასთან ერთად პირდაპირ თბილისში გამოფრინდა.

„ძალიან რთული ვითარებაში აღმოვჩნდით. მოსკოვში იქაურმა სამართალდამცავებმა ელენეს ოჯახს მიაკითხეს და საბუთები შეუმოწმეს. ელენეს ყველაფერი წესრიგში ჰქონდა, ისევე, როგორც მამამისს და ძმას, მაგრამ რუსებმა ელენეს დედას, ქალბატონ მარინას „უპოვეს" რაღაც დარღვევა და ქვეყნის დატოვება მოსთხოვეს. ელენე და დედამისი ერთად გაემგზავრნენ ავსტრიაში და იქიდან თბილისში ჩამოფრინდნენ. ელენეს შეეძლო, მოსკოვში დარჩენილიყო, მაგრამ დედა არ მიატოვა და თბილისში ჩამოჰყვა" — გვითხრა საქართველოს ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტმა *ირაკლი ჯაფარიძემ.*

ჯერჯერობით საქმე ისეა, რომ გედევანიშვილი მოსკოვში მიმბრუნებელი აღარაა. მეტიც, ამ დღეებში თბილისში მამამისიც და ძმაც ჩამოვლენ. ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადაზე ჩვენი მთავარი იმედი ერთი კვირა თბილისში დარჩება და გადაწყვეტს, რომელ ქვეყანაში გააგრძელოს ვარჯიში, რადგან საქართველოში სტანდარტული ყინული და მისთვის შესაფერისი სავარჯიშო პირობები არ არის.

ირაკლი ჯაფარიძის თქმით, ელენე ავსტრიაში ან ესტონეთში გააგრძელებს ვარჯიშს. მანამდე კი კარლ შეფერის მემორიალის მომგებ ქართველ მოციგურავეს ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შეხვდა და ღირსების ორდენით დააჯილდოვა. ამასთან, ქართული სპორტის მამები მოსკოვიდან იძულებით წამოსულ ელენე გედევანიშვილს ყველანაირ დახმარებას ჰპირდებიან.

**ბაჩო სვანიძე**

## მალხაზ ასათიანი იმედის განრიგში

საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის" ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი გუშინ ერთხელაც გაესინჯა გერმანელ ექიმებს და პასუხიც საიმედო მიიღო — მუხლის საფუძვლიანი შემოწმებისა და სამედიცინო პროცედურების ჩატარების შემდეგ ექიმებმა ქართველ ფეხბურთელს სარეაბილიტაციო განრიგი შეუდგინეს და, თუ ყველაფერმა გეგმის მიხედვით ჩაიარა, ასათიანის ტრავმა საბოლოოდ ჩაბარდება წარსულს. შეგახსენებთ, რომ მალხაზი რუსულ პრემიერლიგაში მოსკოვის ცეესკასთან მატჩში დაშავდა — ხორვატმა ივიცა ოლიჩმა მუხლში გაშლილი ფეხი ჩაარტყა და „ლოკომოტივის" გარდა საქართველოს ნაკრებსაც ჩამოაშორა.



## რონალდინიო ზღაპარში



## 90 000 000!

ბევრჯერ თქმულა და ბევრჯერაც უარყოფილა, უფრო სწორად, რამდენჯერაც თქმულა, იმდენჯერ უარყოფილა... მოკლედ, ამ აღმართ-დაღმართიივით ამბავმა ერთხელაც წამოიწია: იტალიური „მილანი" მზადაა, ესპანურ „ბარსელონას" ბრაზილიელი სუპერვარსკვლავის, რონალდინიოს სანაცვლოდ 90 მილიონი ევრო გადაუხადოს! ეს ცნობა გუშინ ევროპულმა სააგენტოებმა გაავრცელეს და ისიც ახსენეს, ტრანსფერის შემთხვევაში ხელფასის სახით რონალდინიო წელიწადში 12 მილიონ ევროს მიიღებსო. ცნობისთვის: კატალონიურ კლუბში „კიჟას" ხელფასი 8,5 მილიონს შეადგენს. სხვა არაფერი დაგვრჩენია, ლოდინის გარდა. ვნახოთ...

## დღეს კვერცხი იყოს, ქათამი ხვალ იქნება




მოვიდა ჩემპიონთა ლიგის მესამე ტური და მოიტანა „ჩელსი" — „ბარსელონა", რომელიც ხვალ „სტემფორდ ბრიჯზე" გაიმართება. ჟოზე მაურინიუს კი თავი შაბათსვე ასტკივდა. აბა, როგორია, ასეთი თამაშის წინ ორი მეკარე რომ გამოგაკლდება. „რედინგთან" მოგებული მატჩი „ჩელსის" ძალიან ძვირად დაუჯდა. პირველ წუთზე პეტრ ჩეხი დაშავდა და შემდეგ მისი შემცვლელი კარლო კუდიჩინიც სამკურნალო გახდა. ვინ ჩადგება კარში? მაურინიუს გუნდში ჰყავს თანამემამულე, 30 წლის ენრიკე ილარიო და ძირითად შემადგენლობაშიც ის იქნება. „ბარსას" კი თავის მხრივ სამუელ ეტოო დააკლდება, რომელიც წინა ტურში „ვერდერთან" დაშავდა და გაზაფხულამდე დაისვენებს. თუმც რაიკარდს რა უჭირს, სავიოლა, მესი და გუდიონსენი შეეშველებიან. ისლანდიელმა ფორვარდმა თურმე ყველაფერი ჩაუკაკლა მწვრთნელს „ჩელსის" შესახებ.

ეს ხვალინდელზე, დღეს კი დიდი ვერაფერი თამაშებია. „არსენალი" და „მანჩესტერი" თუ მოიგებენ, ფაქტობრივად გაინაღდებენ მერვედფინალის საგზურს. უეინ რუნის უკვე ორი წელია, ჩემპიონთა ლიგაში გოლი არ გაუტანია და ეგებ „კოპენჰაგენთან" გატეხოს ნავსი, ხოლო „არსენალს" მოსკოვში არასოდეს მოუგია და „მეთოფეები" ტრადიციის დარღვევას შეეცდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩეხვა და აზელილი ტალახი



**თბილისის „დინამოს“ ბოლო მატჩებში ცენტრფორვარდი სანდრო იაშვილი უდავოდ გამორჩეული იყო. იაშვილზე არცთუ ცოტა დაწერილა და თქმულა და მისგან ისევ ველით, რომ კიდევ უფრო ძლიერად ათამაშდება და ბოლომდე გაიხსნება. მერვე ტურში „დინამომ“ სწორედ იაშვილის თავურით მოუგო „ლოკომოტივს“... იაშვილი 21 წლისაა და ზოგი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ეროვნულ ნაკრებში ცენტრფორვარდის პოზიციაზე შოთა არველაძე სამომავლოდ მან უნდა შეცვალოს. თუმც ზოგს განსხვავებული აზრი აქვს, მაგრამ ვერავინ უარყოფს, რომ იაშვილი მართლაც საინტერესო ფეხბურთელია**

## ტალანტები აქაც არიან

— რა შეიცვალა „დინამოში“ დუშან უჰრინის მოსვლით?

— სულ სხვა გარემო შეიქმნა. ფეხბურთელები უფრო კონცენტრირებულნი ვართ, ვცდილობთ, უჰრინის თითოეული სიტყვა უცბად დავიჭიროთ და შევისმინოთ — ის ხომ სერიოზული მწვრთნელია.

— და·უჰრინმა რა შეცვალა „დინამოს“ თამაშში?

— კონკრეტულად ამის თქმა ძნელია. უბრალოდ, აქცენტი სწორ თამაშზეა გადატანილი. მიმაჩნია, რომ სწორი გზით მივდივართ.

— „დინამო“ ჩემპიონატის ლიდერებს შვიდი ქულით ჩამორჩება — რამდენად რეალურია თქვენი გაჩემპიონება?

— „დინამოს“ ახლა ისეთი თვალით არ უყურებენ, როგორითაც უნდა უყურონ — ამ მომენტისთვის „დინამო“ ძალიან სერიოზული გუნდია საქართველოში და ნურავის ეგონება, რომ თასი და ჩემპიონობა განაღდებული აქვს.

— შენგან უფრო და უფრო მეტს ელიან, მაგრამ მკვეთრი პროგრესი ჯერ მაინც არ გეტყობა...

— ამისთვის ეროვნულ ნაკრებში თამაშია საჭირო.

**— თავდამსხმელისთვის კი ეროვნულ ნაკრებში სათამაშოდ ბევრი გოლის გატანაა საჭირო...**

— მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში ჯერ ოთხი გოლი გავიტანე, მაგრამ ეს ოთხი გოლი ყველაფერს არ ნიშნავს. ნაკრებში სარგებლობის მოტანა არავისზე ნაკლებად შემიძლია. ვგრძნობ, ნაკრებში თამაშს. შევძლებ, მაგრამ შანსს არ მაძლევენ. თუმც ამაზე არ ვნერვიულობ. ალბათ, ჯერ არ ვჯდები მწვრთნელთა გეგმაში.

**— ალბათ, შეუძლებელია ჩაჯდე იმ მწვრთნელის გეგმაში, ვისთვისაც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში სანაკრებოდ საინტერესო ფეხბურთელები არ არსებობენ. ეს მოტივაციას არ გიქვეითებს?**

— ასეთ რამეს ნაკრების მთავარი მწვრთნელი არ უნდა ამბობდეს. საქართველოს ჩემპიონატს და აქ მოთამაშე ფეხბურთელებს გვერდში დგომა სჭირდებათ. ყველას უნდა ესმოდეს, რომ ამ დაძირულ ქვეყანაშიც არიან ტალანტები და თუ ფეხბურთელი აქედან ჯერ ვერ მიდის, ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ ნაკრებში არ უნდა გამოიძახონ. ჩეხვაში და აზელილ ტალახში თამაში ჯობია ევროპაში ყოფნას და სკამზე ჯდომას. მაგრამ ისიცაა, რომ ევროპაში საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელებს გამალებით ეძებენ და ყველანაირად ცდილობენ, მათ ხელი შეუწყონ. მე კი აქ არავისგან მიგრძვნია, ჩემი წინსვლისთვის ვინმეს ეზრუნოს.

**— თამაშობ თბილისის „დინამოში“, გითამაშია ასაკობრივ ნაკრებებში და შარშანწინ კვიპროსის ტურნირში ეროვნულ გუნდშიც იყავი — ეს ხელშემწყობად არ მიგაჩნია?**

— და რამდენჯერ არ გამომიძახეს თუნდაც ახალგაზრდულ ნაკრებში?! ისიც კი არ ვიცი, რა მიზეზით. არადა, შეუძლიათ, ჩემგან მეტი მოითხოვონ და მეტი მიიღონ.

**— ისიცაა, რომ ალბათ ზოგ კომპონენტში მოსამატებელი გაქვს...**

— ყველაფერში შემიძლია მომატება, ეროვნულ ნაკრებში ორისამი მატჩი რომ ვითამაშო, შეიძლება, სერიოზულ გუნდში მოვხვდე.

**— ეროვნული ნაკრების გერმანიასთან მატჩის შემდეგ შენმა ერთ-ერთმა ყოფილმა მწვრთნელმა გვითხრა, შოთა არველაძის შემცვლელად ნაკრებში სანდრო იაშვილს მივიჩნევ, მაგრამ პრობლემა მისი ხასიათიაო...**

— პრობლემა ჩემი ხასიათია? კონკრეტულად, მაინც რა? თუ ასეა, მაშინ ევროპელ მწვრთნელებთან რატომ არ მაქვს პრობლემები?

**დავით თავართქილაძე**



# ორი ამბავი ამერიდან

**თბილისურ** „ამერში“ ერთი კვირაა, ისინჯება უკრაინიდან ჩამოყვანილი მეკარე, 18 წლის ვლადისლავ ჩანგელია, ვინც კიევშია დაბადებული, მაგრამ წარმოშობით ქართველია. ჩანგელია კიევის „არსენალის“ დუბლებში და უჟგოროდის „ზაკარპატიეში“ თამაშობდა, „ამერამდე“ კი თბილისის „დინამოშიც“ ისინჯებოდა. როგორც შევიტყვეთ, „ამერი“ მზადაა, მას ზამთრამდე დააკვირდეს და საბოლოო გადაწყვეტილება მხოლოდ შემდეგ მიიღოს.

მეორე ამბავი კი ის არის, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველოს და მაკედონიის 17-წლამდელთა ნაკრებებს შორის ხვალ გლდანში, „ამერზე“ აღარ ჩატარდება. მიზეზი სტადიონის ინფრასტრუქტურაა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს ვერ პასუხობს.

ცანკერის გუნდი მაკედონიელებს, სავარაუდოდ, ბოლნისში შეხვდება.

**ლუკა თალაკვაძე**

# ორჯონიკიძემ სტადიონი იყიდა. ვინ ააშენებს სტადიონს?

**ბათუმის** „დინამოს“ სტადიონის ტერიტორია მოსკოვის ვიცე-მერმა სოსო ორჯონიკიძემ შეისყიდა და მალე იქ გრანდიოზული მშენებლობა დაიწყება.

სად აშენდება, ან ვინ ააშენებს ბათუმის ახალ სტადიონს? წინასწარი პასუხი ასეთია, სტადიონი ქალაქის მეორე ბოლოში, ყოფილი ხორცკომბინატის ტერიტორიაზე აშენდება, სადაც სტადიონთან ერთად საცხოვრებელი უბნის მშენებლობაც იგეგმება. როგორც თქვეს, ამ ტერიტორიის დასაპატრონებლად ტენდერი უკვე ჩატარებულა და გამარჯვებულიც ცნობილია, თუმცა მისი ვინაობის გამომზეურებას ჯერ არ აპირებენ. სტადიონი კი სწორედ იმ კომპანიამ უნდა ააშენოს, რომელიც საცხოვრებელ კომპლექსს მოჰკიდებს ხელს. ისიც ითქვა, ბათუმის ახალი სტადიონის პროექტი უკვე მზადაა და მშენებლობა მალე უნდა დაიწყოსო.

გუშინ გავიგეთ, რომ ყოფილი ხორცკომბინატისა და ახალი სტადიონისთვის გამოყოფილი ტერიტორიაც სოსო ორჯონიკიძეს შეუძენია, მაგრამ აჭარის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ალექსანდრე ახვლედიანმა ეს არ დაგვიდასტურა.

**ლუკა თალაკვაძე**



## საქართველოს ჩემპიონატი

პირველი ლიგა

I წრე. 11 ტური

ამერი 2 4:1 გაგრა

ჩიხურა 2 2:0 რაჭა

სპარტაკი 0:4 ზესტაფონი 2

მგლები 1:0 მესხეთი

ვიტ ჯორჯია 2 1:1 ნ. დინამოელი

გურია 4:1 მერცხალი

მეშაქრე 1:0 დინამო 2

ოლიმპი 3:1 მაღაროელი

მეშახტე 1:0 სამტრედია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მგლები | 11 | 10 | 1 | 0 | 21:3 | 31 |
| მესხეთი | 11 | 7 | 2 | 2 | 21:7 | 23 |
| ოლიმპი (თბ) | 11 | 6 | 2 | 3 | 19:11 | 20 |
| ნ. დინამოელი | 11 | 6 | 2 | 3 | 17:10 | 20 |
| გაგრა | 11 | 6 | 1 | 4 | 16:12 | 19 |
| მეშაქრე | 11 | 5 | 4 | 2 | 12:10 | 19 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 11 | 4 | 4 | 3 | 20:8 | 16 |
| ზესტაფონი 2 | 11 | 4 | 4 | 3 | 13:11 | 16 |
| ჩიხურა 2 | 11 | 4 | 3 | 4 | 11:11 | 15 |
| დინამო 2 | 11 | 4 | 2 | 5 | 16:10 | 14 |
| მეშახტე | 11 | 4 | 2 | 5 | 14:15 | 14 |
| სპარტაკი | 11 | 4 | 1 | 6 | 8:17 | 13 |
| მაღაროელი | 11 | 2 | 5 | 4 | 12:14 | 11 |
| ამერი 2 | 11 | 2 | 4 | 5 | 13:16 | 10 |
| სამტრედია | 11 | 2 | 4 | 5 | 14:22 | 10 |
| მერცხალი | 11 | 2 | 3 | 6 | 9:21 | 9 |
| რაჭა | 11 | 2 | 2 | 7 | 9:24 | 8 |
| გურია | 11 | 1 | 2 | 8 | 10:30 | 5 |

### იტალია

სერია B. VII ტური

ტრევიზო 0:1 იუვენტუსი

სერია C/A. VII ტური

პრო პატრია 0:0 ივრეა

### საფრანგეთი

მეორე დივიზიონი

XI ტური

კაენი 0:0 მონპელიე

### ფინეთი

ვეიკაუსლიგა

XXIII ტური

ინტერი 1:3 ჰაკა

### პორტუგალია

სუპერლიგა

VI ტური

ბოავიშტა 0:1 ნავალი

### ინგლისი

პრემიერლიგა

VIII ტური

ფულემი 2:1 ჩარლტონი

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

VII ტური

კიოლნი 1:1 კარლსრუე

### უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. IX ტური

უიპეშტი 2:0 ვაშაში

### ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა

X ტური

იაბლონეცი 2:0 სიგმა

### ნორვეგია

ტიპელიგა

XXIII ტური

ჰამ კამი 1:1 რუსენბორგი

### შვედეთი

ალსვენსკა

XXII ტური

ჰალმსტადი 0:0 ჰამარბი

კალმარი 0:1 ელფსბორგი

მალმიო 2:0 გაის

# ღიმილის ბიჭებს ტაბლო აუფეთქეს

**უკრაინაში** რომ დონეცკის „შახტარის“ პირველი პრეზიდენტის, ალექსანდრ ბრაგინის მემორიალური ტურნირი ტარდება, ადრეც გაუწყეთ. ტურნირში 15 წლამდე ასაკის ბავშვები მონაწილეობენ, მათ შორის თბილისის „დინამოცაა“.

საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ პრესსამსახურმა გვაცნობა, რომ ეს გუნდი მათთან არაფერ კავშირშია და ვერც ჩვენ გეტყვით, რომელი სპორტსკოლაა უკრაინაში, თუმც ერთ უსიამოვნო ამბავზე კი უნდა გითხრათ... ტურნირის პირველ ტურში „დინამომ“ 0:10 წააგო მოსკოვის „ლოკომოტივთან“...

წაგებით ვის არ წაუგია, თანაც ალბათ ბავშვთა ტურნირზე არ ეგების ამხელა ყურადღების გამახვილება, თუმცა საქმე სხვა რამეშია. უკრაინელი ჟურნალისტები, რომლებიც „დინამო“ — „ლოკომოტივის“ ზემოთ ნახსენებ მატჩს დაესწრნენ, გაოგნებულები არიან ქართველების ქცევით...

„თბილისელებმა წარმოუდგენელი ანგარიშით წააგეს „ლოკომოტივთან“, რომელიც მართლაც შთამბეჭდავად თამაშობს. საინტერესოა, რომ მოსკოველთა გოლები ტაბლომ ვერ დაიტია, ქართველები კი, რაც უნდა გასაკვირი იყოს, მოედანს ღიმილით ტოვებდნენ...“ — წერს უკრაინული „უა-ფუტბოლი“ და აქვეა „ღიმილის ბიჭების“ შემადგენლობაც: *ქურიძე, გაჩეჩილაძე (ვამისონია 66), ტანიაშვილი, საბაური, მერეჩკო (ჩხეიძე 75), შლიმანოვი (კურტანიძე 30), ელიზბარაშვილი (მამაცაშვილი 41), ებრალიძე, ჩიხლაძე, დიასამიძე (გოგიძე 62), ჩიტაშვილი (სულაძე 68).*

**ლუკა თალაკვაძე**

**საქართველოს უმაღლესი ლიგა 18 ჩემპიონატი**
**I წრე. 8 ტური**

# არავეტერინარული და ვეტერანული

## ვინ ნახა ტოპმ საშრუგვაიოდ?

„ურუგვაისთან სანოემბრო ამხანაგურ მატჩში ახალ ფეხბურთელებს ვათამაშებ" — გვითხრა სამიოდ დღის წინ საქართველოს ნაკრების თავკაცმა კლაუს ტოპმიოლერმა.

ახალწვეულებში ისევ ლეგიონერები იქნებიან თუ მათ ქართულ კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელებიც დაემატებიან, თავად ტოპმ იცის — თუმცა, შეიძლება, ჯერ არც იცის და ამიტომაც დაესწრო გლდანში „ამერი" — „კახეთს".

ბევრჯერ თქმულა, ჰერ კლაუსი ეროვნული ჩემპიონატის თამაშებს თითქმის არ უყურებსო, ახლა კი გადაუფიქრებია გერმანელ მწვრთნელს და შაბათს ქოლგით ესტუმრა წვიმიან გლდანს.

ტოპმიოლერმა, მისმა ძმამ ჰაინცმა, ნაკრების მეკარეთა მწვრთნელმა მამუკა აბუსერიძემ და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა „ამერის" თავკაც გიორგი ჩიხრაძესთან მატჩის შემდეგ საკმაო ხანს ისაუბრეს...

ახლა კი უშუალოდ მერვე ტურს მივყვეთ: ამერელებმა ანგარიშის მიხედვით იოლად, მაგრამ მაინც ოფლის ღვრით სძლიეს აუტსაიდერ „კახეთს". ის კი არა, ერთ მომენტში ზურაბ ქვაჩახიამ აშკარა გოლისგან იხსნა მასპინძლები. სამი გოლიდან კი ულამაზესი დავით ბოლქვაძის საჯარიმოდან ჩახვეული იყო, ცხრიანში რომ შეფრინდა ბურთი.

„ამერი" მეორეზეა და ოდენ ბურთების უარესი შეფარდებით ჩამორჩება „ოლიმპს", რომელმაც ზემო იმერეთში ცალკარა გაუმართა „ჩიხურას".

22:0 — ასეთია რუსთაველთა გატანილ-გაშვებული ბურთები, რაც კომენტარს არ საჭიროებს. მიხეილ ალავიძის კარი უკვე 720 წუთია, ხელშეუხებელია.

„ოლიმპს" სოლიდარობა „გამოუცხადა" „ზესტაფონმა" და გორში 4:0 გაანადგურა ბეჩავი „დილა". ფიფია-იონა: როცა ორი ასეთი შემტევი გყავს, „დილას" კი არა, ბარე ორსაც მოუგრეხ კისერს, მაგრამ ფეროელებმა საწყის ოთხ ტურში ანიავეს ქულები და ჯერაც საკმაოდ ჩამორჩებიან „ამერსა" და „ოლიმპს". აი, თემურ მახარაძის დაბრუნების შემდეგ „ზესტაფონი" იალლიშებს აღარ უშვებს.

ტურის ყველაზე თვალმისაზიდი თამაში კი „მიხეილ მესხზე" იყო, სადაც „დინამოს" უკვე მერამდენედ მოაგებინა სანდრო იაშვილის ეულმა გოლმა. „იაშკამ" მატჩის მიწურულს თავით გაიტანა, ისე კი, ანგარიში 1:0 კი არა, შეიძლებოდა, 4:3 ან 5:5-იც ყოფილიყო — ბევრი მომენტი გაცუდდა, ორ-სამჯერ კი ვეტერანმა მეკარეებმა, სოსო გრიშიკაშვილმა და დავით გვარამაძემ მოხსნეს აუღებელი ბურთები.

წლების მანძილზე „ვიტ ჯორჯია" ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური ქართული კლუბია და საინტერესოა, რატომ ჭაკობს ბოლო მატჩებში.

ლიდერთა ხუთეულიდან მხოლოდ „ვიტ ჯორჯიამ" ვერ მოიგო. ისე, ვინძლო, ვიტელებს ბორჯომში სამი ქულა აეღოთ, მაგრამ პაატა დათუნაიშვილის გაძევებამ აურიათ დავთრები — „უფროსი გატუზო" კი იმიტომ გააწითლეს, რომ ვაიგულშემატკივართა გინებას გინებითვე უპასუხა. პოლიციამ იმარჯვა, თორემ ბორჯომის ხელოვნულ სტადიონზე დაკა-დაკას დაწყებას ბევრიც არაფერი აკლდა...

სხვათა შორის, კურორტელთაგან გამთანაბრებელი კამერუნელმა ოლივერ ნკემმა შეაგდო. ასეა, ზოგჯერ ერთი კამერუნელი შვიდ არგენტინელზე ფასეულია.

ქუთაისში მასპინძლები მსაჯ გიორგი ვადაჭკორიას გაუწყრნენ, ბოლო წუთებში ორი საპენალტე სიტუაცია იყო „სიონის" კართან და ერთხელაც არ ჩასტვინაო. „ტორპედო" მართლაც კარგი გუნდი ჩანს, აი, ბოლნისელთა თამაში კი წინა სეზონთან შედარებით...

ბოლოს ზღვისპირულ ცალკარაზეც ვთქვათ, სადაც ამირან მუჯირმა დუბლი შეუსრულა „მერანს" და „ბათუმმაც" ნელ-ნელა ამოიწია ცხრილის შუაში.

ისე, თუ დააკვირდით, ამ ტურში ვეტერანებმა ყოჩაღად იბურთავეს — ამირან მუჯირმა, ზურაბ იონანიძემ, სოსო გრიშიკაშვილმა და დავით გვარამაძემ ახალგაზრდული წლები გაიხსენეს...

**ილია ნანობაშვილი**





თბილისის „დინამომ" თანაქალაქელ „ლოკომოტივს" სანდრო იაშვილის (№9) თავურით სძლია

# არავითარი კონკრეტიკა

*საქართველო — იტალიის მატჩისწინა პრესკონფერენციაზე რობერტო დონადონის ჰკითხეს, სანაკრებო შემადგენლობის დადგენისას სერია A-ს კლუბების მწვრთნელების აზრს თუ ითვალისწინებთო. სინიორ რობერტომ უპასუხა, მანჩინისთან, ანჩელოტისთან, სპალეტისთან და სხვებთანაც ძალიან ხშირი კონტაქტი მაქვს, მათი კონსულტაციები მეხმარებაო.*

*საქართველოს ჩემპიონატი სერია A არ არის, მაგრამ ჩვენი ნაკრებისთვის აქ იზრდებიან ფეხბურთელები. კლაუს ტოპმიოლერმა ამასწინათ გვითხრა, დროს ფუჭად ვხარჯავდით ეროვნული ჩემპიონატის ყურებაშიო, მაგრამ ჩანს, აზრი შეიცვალა და შაბათს „ამერი" — „კახეთს" დაესწრო. ნამატჩევს კი ამერელთა მწვრთნელ გიორგი ჩიხრაძეს ესაუბრა:*

*კერძოდ რა აინტერესებდა ტოპის? ამაზე სწორედ გიორგი ჩიხრაძეს გავესაუბრეთ...*

— ტოპმიოლერი კონკრეტულად არც ერთი ფეხბურთელით არ დაინტერესებულა. უბრალოდ, ყველას აკვირდებოდა, განსაკუთრებით კი „ამერის" ახალგაზრდა მოთამაშეებს. სანაკრებო პაუზის გამო „კახეთთან" საუკეთესო მატჩი არ ჩაგვიტარებია და ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელიც გვაკლდა — ეს ვუთხარი ტოპმიოლერს. ბატონ კლაუსს თავად არ უკითხავს რომელიმე ფეხბურთელზე და ჩემი მხრიდან ვინმესთვის რეკომენდაციის გაწევა ცოტა არაკორექტული იქნებოდა.

**— ტოპმიოლერმა გვითხრა, ურუგვაისთან ამხანაგურ მატჩში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი იქნება ნაკრებშიო. როგორ ფიქრობთ, მათ შორის რომელიმე ამერელი ხომ არ იქნება?**

— ამაზე საუბარი არ ყოფილა.

**— ტოპმიოლერს ხომ არ უთქვამს, „ამერის" მატჩებს მომავალშიც დავესწრებიო?**

— არ უთქვამს, მაგრამ ალბათ დაესწრება. ვფიქრობ, ნაკრების მწვრთნელი ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს არ აკვირდებოდეს, არ შეიძლება.

**— თქვენ რომელ ამერელს გაუწევდით რეკომენდაციას ნაკრებში?**

— ნაკრებს ჰყავს მთავარი მწვრთნელი, რომელსაც ჰყავს თანაშემწეები. ისე კი, ვფიქრობ, რამდენიმე ამერელი იმსახურებს თუნდაც ამხანაგურ მატჩში გამოცდას. „ამერი" ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია საქართველოში და წარმოუდგენელია, ნაკრებისთვის საინტერესო მოთამაშეები არ გვყავდეს.

**ილია ნანობაშვილი**

ამერი 3:0 კახეთი
ტორპედო 0:0 სიონი
ბათუმი 3:0 მერანი
ჩიხურა 0:4 ოლიმპი
ბორჯომი 2:2 ვიტ ჯორჯია
დილა 0:4 ზესტაფონი
დინამო 1:0 ლოკომოტივი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 8 | 7 | 1 | 0 | 22:0 | 22 |
| ამერი | 8 | 7 | 1 | 0 | 16:2 | 22 |
| ზესტაფონი | 8 | 5 | 2 | 1 | 12:3 | 17 |
| დინამო | 8 | 5 | 0 | 3 | 13:6 | 15 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 4 | 3 | 1 | 14:10 | 15 |
| ტორპედო | 8 | 4 | 3 | 1 | 7:3 | 15 |
| სიონი | 8 | 3 | 2 | 3 | 8:7 | 11 |
| ბათუმი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:7 | 8 |
| ლოკომოტივი | 8 | 2 | 2 | 4 | 6:10 | 8 |
| მერანი | 8 | 2 | 2 | 4 | 6:13 | 8 |
| ჩიხურა | 8 | 1 | 3 | 4 | 4:12 | 6 |
| ბორჯომი | 8 | 1 | 2 | 5 | 10:18 | 5 |
| დილა | 8 | 0 | 2 | 6 | 4:22 | 2 |
| კახეთი | 8 | 0 | 1 | 7 | 7:24 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 4-ფეიქრიშვილი | ვიტ ჯორჯია |
| გოჩაშვილი | ლოკომოტივი |
| დვალიშვილი | ოლიმპი |
| იაშვილი | დინამო |
| გელაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| სირბილაძე | ოლიმპი |
| ფიფია | ზესტაფონი |

**მომდევნო ტური**

21 ოქტომბერი, შაბათი
სიონი – ბორჯომი
კახეთი – ტორპედო
ზესტაფონი – ამერი
ლოკომოტივი – დილა
მერანი – დინამო
ოლიმპი – ბათუმი
ვიტ ჯორჯია – ჩიხურა

**სიმბოლური ნაკრები**

- სანდრო იაშვილი — დინამო
- ზურაბ იონანიძე — ზესტაფონი
- ამირან მუჯირი — ბათუმი
- რევაზ გეწაძე — ოლიმპი
- გოგი ფიფია — ზესტაფონი
- გიორგი მერებაშვილი — დინამო
- დავით ბოლქვაძე — ამერი
- უჩა ლობჟანიძე — ბათუმი
- მიხეილ მახვილაძე — ოლიმპი
- დავით გამეზარდაშვილი — ტორპედო
- სოსო გრიშიკაშვილი — დინამო



# მათე ღვინიანიძე ნოემბრამდე ისვენებს

## ძვალი გადარჩა, მყესი — ვერა

მეორე ბუნდესლიგის „მიუნხენ 1860“-ის მცველი მათე ღვინიანიძე, ვინც 11 ოქტომბრის საქართველო — იტალიის შესარჩევი მატჩისწინა ვარჯიშზე დაშავდა, ერთი თვე ვერ ითამაშებს. მათეს ტერფის მყესები აქვს დაზიანებული, მკურნალობს და ხეირიანად სიარულიც უჭირს.
ამასობაში კი ულვინიანიძეო „მიუნხენმა“, რომელიც ბუნდესლიგაში დაბრუნებას უმიზნებს, ამ სეზონში პირველი მატჩი წააგო. ხოლო ჩვენი გერმანელი კოლეგები აღნიშნავენ, ქართველი მცველის არყოფნა გუნდისთვის დიდი დანაკლისი აღმოჩნდაო...

— „ბრაუნშვაიგთან“ მართლაც ძალიან მძიმე მატჩი გამოდგა. ჩემ გარდა „მიუნხენს“ კიდევ ერთი მცველი აკლდა, გააძევეს გუნდის კაპიტანი, ხოლო მეკარემ შუა მატჩისას ტვინის შერყევა მიიღო. თანაც ეს მიზეზებიც რომ არა, „მიუნხენმა“ ძალიან სუსტად ითამაშა. ყველა ამბობს, „ბრაუნშვაიგმა“ დამსახურებულად მოიგოო — გვითხრა მათე ღვინიანიძემ, რომელსაც გუშინ მიუნხენში დავუკავშირდით.

**— როდის განაახლებ თამაშს?**

— ჯერ ვერა... სამი კვირა კიდევ მკურნალობას დასჭირდება, შემდეგ აღდგენითი პროცესი... თამაშს, სავარაუდოდ, ნოემბრის შუა რიცხვებში თუ შევძლებ.

**— ანუ ურუგვაისთან 15 ნოემბრის ამხანაგური მატჩისთვის მზად იქნები?**

— ზუსტად ვერ გეტყვით, როგორ იქნება. ვარჯიშს, ალბათ, თვის ბოლოს დავიწყებ. 15-მდე კი, იმედი მაქვს, ფორმასაც აღვიდგენ.

**— ექიმების საბოლოო დიაგნოზი როგორია?**

— მყესების დაზიანება, რასაც ერთთვიანი მკურნალობა სჭირდება. უკვე ერთი კვირაა, ექიმებთან ყოველდღე დავდივარ. ახალ-ახალ დანიშნულებებს მაძლევენ და მაიმედებენ, რომ თვის ბოლოსთვის ყველაფერი კარგად იქნება. ექიმებმა მითხრეს, ბედად გადარჩენილხარო.

**— რატომ?**

— ოდნავ ძლიერად რომ ჩაერტყათ კოჭში, ძვალი დაზიანდებოდა, ტრავმაც გაცილებით სერიოზული იქნებოდა და რამდენიმე თვის გამოტოვება მომიწევდა. როცა ფეხში ჩამარტყეს, ინერციით კოჭიც გადამიბრუნდა. საშინელი ტკივილები მქონდა.

**— არადა, კლაუს ტოპმიოლერს იტალიასთან მატჩში ძირითადისთვის ჰყავდი შეგულებული...**

— ძალიან სამწუხაროა, ასე რომ მოხდა. უკვე მატჩზე ვფიქრობდი და წინა დღით ასეთი ტრავმა მივიღე. ნაკრებში ჩემი ოფიციალური დებიუტი კიდევ რამდენიმე თვით გადაიდო. ალბათ გახსოვთ, ადრე ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშისას გამაძევეს და დისკვალიფიკაციის გამო ორი შეხვედრა გამოვტოვე, არადა, როგორც ვიცი, მწვრთნელი ნაკრებში ჩემ გამოძახებას მაშინაც აპირებდა.

**— „მიუნხენში“ ახალგადასული ხარ და ძირითადში ადგილიც უკვე დაიმკვიდრე. სამომავლოდ ეს ტრავმა ხელს ხომ არ შეგიშლის?**

— არა მგონია, ფორმას როცა აღვიდგენ, ალბათ, ისევ ძირითადში დავბრუნდები. ყოველ შემთხვევაში, გუნდის მწვრთნელებს ჩემი ტრავმა ძალიან არ ესიამოვნათ და ყოველდღიურად კითხულობენ ამბებს. მაიმედებენ, აშკარად ეტყობათ, რომ ჩემ გამოჯანმრთელებას ელიან და ამიტომაც მგონია, რომ ძირითადში ადგილს არ დავკარგავ.

**კობა ინასარიძე**

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | სამპდორია 1:1 | 13 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 4 | 1 | 13 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | ჰამბურგი 2:1 | 90 | გააფრთხილეს | 6 | 0 | 3 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | დუისბურგი 1:1 | 90 | 1 გოლი | 6 | 1 | 17 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | ს | დუისბურგი 1:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 17 |
| დავით სირაძე | აუე | ს | ლაუტერნი 0:4 | 90 | | 6 | 0 | 13 |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენი | ს | ბრაუნშვაიგი 0:2 | 0 | ტრავმირებულია | 5 | 0 | 5 |
| **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | დარმშტადტი | შ | ელვერსბერგი 1:3 | 0 | | 8 | 0 | 17 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ბაზელი | ს | შაფჰაუზენი 2:4 | 0 | | 0 | 0 | 6 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | ს | ლივერპული 1:1 | 90 | | 7 | 0 | 9 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | ს | სპარტა 2:0 | 65 | შეცვალეს | 6 | 3 | 2 |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | ს | დენ ჰააგი 2:1 | 0 | | 1 | 0 | 5 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | მოსკვა 0:1 | 0 | ტრავმირებულია | 14 | 0 | 2 |
| გიორგი ჭელიძე | ლოკომოტივი | შ | მოსკვა 0:1 | 0 | ტრავმირებულია | 3 | 0 | 2 |
| მიხეილ აშვეთია | რუბინი | ს | ცსკა 1:2 | 0 | სათადარიგო | 13 | 0 | 12 |
| გიორგი ქინქლაძე | რუბინი | ს | ცსკა 1:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 4 | 0 | 12 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | ს | ცსკა 1:2 | 0 | სათადარიგო | 11 | 0 | 12 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | ს | ცსკა 1:2 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 12 |
| ზურაბ არზიანი | რუბინი | ს | ცსკა 1:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 12 |
| ბექა ჟღენტი | ტორპედო | შ | ლუჩ-ენერგია 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 14 |
| დავით მუჯირი | კრილია | შ | შინიკი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 18 | 4 | 7 |
| გიორგი ლომაია | ლუჩ-ენერგია | შ | დინამო 3:1 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 10 |
| გოგიტა გოგუა | ნალჩიკი | შ | ტორპედო 0:0 | 57 | შეცვალეს | 20 | 3 | 8 |
| ალექსანდრე ჩიხრაძე | ნალჩიკი | შ | ტორპედო 0:0 | 90 | | 23 | 0 | 8 |
| ლევან გვაზავა | ნალჩიკი | შ | ტორპედო 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 1 | 0 | 8 |
| ალეკო ამისულაშვილი | შინიკი | ს | კრილია 0:2 | 90 | | 12 | 1 | 16 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | შინიკი | ს | კრილია 0:2 | 90 | | 9 | 0 | 16 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | ს | დნიპრო 2:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 2 | 0 | 2 |
| დავით იმედაშვილი | დინამო | ს | დნიპრო 2:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 1 | 0 | 2 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | შ | ზარია 3:2 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 10 | 2 | 9 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | ვორსკლა 1:2 | 90 | გააფრთხილეს | 8 | 1 | 14 |
| დავით კვირკველია | მ. ზაპოროჟიე | ს | ვორსკლა 1:2 | 45 | ვერ გაიტანა პენალტი, შეცვ. | 8 | 2 | 14 |
| ლევან სილაგაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | ვორსკლა 1:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 14 |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი | ს | ტავრია 1:1 | 90 | | 7 | 0 | 7 |
| კახა მჟავანაძე | ჩერნომორეცი | ს | ტავრია 1:1 | 90 | | 7 | 0 | 7 |
| გიორგი შაშიაშვილი | ჩერნომორეცი | ს | ტავრია 1:1 | 0 | | 4 | 0 | 7 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | ს | ილიჩევეცი 1:0 | 89 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 10 | 6 | 8 |
| ლადო ბურდული | კრივბასი | ს | ილიჩევეცი 1:0 | 0 | | 9 | 1 | 8 |
| კახა ალადაშვილი | დნიპრო | შ | დინამო 0:2 | 90 | | 4 | 0 | 5 |
| ჯაბა კანკავა | არსენალი | შ | მეტალისტი 0:0 | 90 | | 9 | 2 | 4 |
| ლაშა ჯაკობია | არსენალი | შ | მეტალისტი 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 5 | 2 | 4 |
| გიორგი ციმაკურიძე | სტალი | შ | კარპატი 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 8 | 0 | 15 |
| სერგო ორბელაძე | ილიჩევეცი | შ | კრივბასი 0:1 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 13 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | ლკს | ს | ლეხი 0:4 | 90 | | 2 | 0 | 6 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი დივიზიონი** | | | | | | | | |
| ვლადიმერ კაკაშვილი | რილსკი | შ | ლოკომოტივი 1:3 | 0 | | 4 | 0 | 15 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ზაალ ელიავა | სკონტო | შ | რიგა 1:1 | 0 | | 12 | 0 | 3 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | შ | რიგა 1:1 | 0 | | 2 | 0 | 3 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | იურმალა | შ | დინაბურგი 0:1 | 70 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 10 | 0 | 6 |
| ირაკლი ქორთუა | დიჟვანაგი | შ | მეტალურგსი 0:2 | 90 | | 6 | 0 | 8 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზვიგენის ყბები და მისტერ გადაგვიხდი






ირინა და დაშა აბრამოვიჩის ქონებას იყოფენ



## რომანის ცოლი ჩელსის გააღარიბებს

**რომან აბრამოვიჩი** ცოლს ეყრება: იტყობინება „ნიუს ოვ ზე ვორლდი“.

და ეს იქნება მისთვის უძვირესი განქორწინება.

რუსი მილიარდერის ცოლმა ირინამ, გაზეთის ცნობით, უკვე უხმო ვექილებს, რათა მოდელ დაშა ჟუკოვასთან თავისი ქმრის ურთიერთობა გამოარკვიოს.

განქორწინების შედეგად აბრამოვიჩმა, შესაძლოა, თავისი 11 მილიარდიანი ქონების ნახევარი დაკარგოს.

ირინამ მოიწვია განქორწინებათა ორი უგანთქმულესი ოსტატი, რომელთა მეტსახელებია „ზვიგენის ყბები“ და „მისტერ გადაგვიხდი“.

თუ იგი საქმეს მოიგებს, 5,5 მილიარდს მიიღებს.

ერთ შინაკაცს უთქვამს: „ეს ქონების ოკეანეა: ანგარიშები, ნაღდი ფული, კომპანიები, იახტები, სახლები და მანქანები. ეს განქორწინებათა განქორწინება იქნება.“

5 შვილის დედას, 34 წლის ირინას განთქმულ სავექილო კანტორაში „სეირს თუსში“ დაურეკავს. ამ კანტორის ბოსია რაიმონდ თუსი — იგივე „ზვიგენის ყბა“, რომელსაც უგანთქმულესი განქორწინებანი უწარმოებია. „მისტერ გადაგვიხდი“ კი ნიკოლას მოსტინი გახლავთ, ვინც ფეხბურთელ რეი პარლოუს 4 მილიონი აართვა ცოლის სასარგებლოდ და ახლა პოლ მაკარტნის და ჰეტერ მილსთან განქორწინების საქმეშია.

ეს ხალხი საათში 500 გირვანქას იღებს გასამრჯელოდ.

ამასობაში კი ირკვევა, რომ ირინა საკმაოდ ჩართულია ქმრის ბიზნესში. თანაც ისინი თურმე საკმაოდ დაშორებულნი არიან პირად ცხოვრებაში. მცოდნენი ამბობენ, რომ რომანის და დაშას რომანი მხოლოდ საბაბია, რომელიც ირინამ გამოიყენა.

აბრამოვიჩის შთამბეჭდავი ქონება ძნელი დასათვლელია, მაგრამ ირინკას ეს არ გაუჭირდება. თვითონ დიდი მოშოფინგე ყოფილა და ლონდონის სლოუნ სტრიტის ძვირ მაღაზიებს ხშირად სტუმრობს. ის აბრამოვიჩის ცოლი 1991 წლიდანაა და მისი იმპერიის შექმნის საიმედო საყრდენი იყო.

**ირაკლი გამყრელიძე**





## კარლოსის ტყუპისცალი

„რეალი“ ბრაზილიაში ახალ რობერტო კარლოსს ყიდულობს. ამგვარად, ოკეანისგაღმელები იქაური „ფლუმინენსეს“ მცველ მარსელოს უხმობენ. ბრაზილიელთა თქმით, მარსელოს ბურთაობა ყველაზე მეტად „სანტიაგო ბერნაბეუს“ თავხოტორა ლეგენდის თამაშს წააგავს.

რიო დე ჟანეიროში ამჟამად „რეალის“ სპორტული დირექტორის, პრედრაგ მიატოვიჩის თანაშემწე ფრანკო ბალდინი იმყოფება. როგორც ბრაზილიური მედია აცხადებს, მოლაპარაკებები „ფლუმინენსესთან“ წარმატებით მიმდინარეობს და მარსელოც მალე ალბათ თავს მადრიდში ამოყოს. „რეალში“ თამაში მსოფლიოს ყველა ფეხბურთელის ოცნებაა და მარსელოც მათ რიცხვს მიეკუთვნება“ — განაცხადა ფეხბურთელის წარმომადგენელმა რიჩარდ ალდამ.

ბრაზილიელი მცველის სატრანსფერო ფასი 15 მილიონი ევროა. თუმცა სენიორ ბალდინი „ფლუმინენსეს“ თავკაცობას ჯერ მხოლოდ 6 მილიონს სთავაზობს. როგორც ამბობენ, მოლაპარაკების წარმატებით დაგვირგვინებით, საქმეში მონაწილე ყველა მხარეა დაინტერესებული —„რეალი“, მარსელო და თავად „ფლუმინენსეც“.

უკვე ორი თვეა, ამ კლუბს ძირითადი შემადგენლობისთვის ხელფასი ვერ მიუცია და მარსელოს სარფიანი გაყიდვით ამ ვალს გადაიხდის. „ფეხბურთელთა გაყიდვის გარდა სხვა არაფერი გვრჩება. სამწუხაროდ, ეს ახლა ჩვენი შემოსავლის ერთადერთ წყაროდ იქცა“ — თქვა „ფლუს“ ვიცე-პრეზიდენტმა ჟულიო დომინგეშმა.

**ლადო ხომერიკი**

## ზლატან აქლემოვიჩი და მებაღე ხულიო

**მილანის** „ინტერის“ ფორვარდ ზლატან იბრაჰიმოვიჩს მორიგი დისკვალიფიკაცია ემუქრება. გასულ კვირას „ნეროაძურისა“ და „კატანიას“ მატჩისას, როცა სიცილიელთა კართან კუთხური უნდა ჩაწოდებულიყო, იბრაჰიმოვიჩმა სტუმართა მცველ ანდრეა სოტილს უკნიდან შეაფურთხა.

იბრაჰიმოვიჩისთვის მსგავსი გამოხტომები არახალია. რთული ხასიათის მქონე ფეხბურთელს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება. წინა სეზონში „იუვენტუსის“ ნახევარმცველი პაველ ნედვედი ანალოგიური საქციელისთვის ასევე დაისაჯა. თუმცა ამ ინციდენტზე დისციპლინარული კომიტეტი იმსჯელებს, რომელიც ეპიზოდის ვიდეოჩანაწერს ნახავს.

იბრაჰიმოვიჩზე ძალიან გაბრაზებულია სოტილი: „იბრაჰიმოვიჩი ბავშვივითაა, ასე საბავშვო ბაღში იქცევიან. შეფურთხება ვერ ვიგრძენი და ვერც დავინახე. სტანკოვიჩმა რომ გაგვიტანა, იგი მომიბრუნდა, უხამსი ჟესტი მაჩვენა და სიცილი დაიწყო. 32 წლის ვარ და არავის მივცემ დაცინვის უფლებას. იბრაჰიმოვიჩმა ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვა, როგორც ადამიანმა. პროფესიონალი და ასეთი დონის ფეხბურთელი ამგვარად არ უნდა იქცეოდეს. მას სათადარიგოთა სკამიდანაც მოუწოდეს, დამშვიდდიო, მაგრამ უშედეგოდ. მატჩის მერე ხულიო რიკარდო კრუზთან მივედი და ვუთხარი, ზლატანი ფეარ პლეის წესებს არ იცავს და ცუდად იქცევა-მეთქი.

იმავე მატჩში ხანგრძლივი შესვენების მერე „ინტერს“ მომჯობინებული ხულიო რიკარდო კრუზი დაუბრუნდა. „ილ ჯარდინერომ“ (მებაღე) ბოლო 30 წუთი ითამაშა და პენალტის გაცუდებაც მოასწრო, თუმცა იგი თავისი თამაშით კმაყოფილია და გულშემატკივრებს გოლებს ჰპირდება.

„ძალიან მიხარია, რომ ხანგრძლივი პაუზის მერე მინდორს დავუბრუნდი. რთული მატჩი მოვიგეთ და ახლა ცხრილის სათავეში ვართ, რაც ძალიან კარგია. ვწუხვარ, რომ პენალტი ვერ გავიტანე, მაგრამ ეს ფეხბურთის ნაწილია. მთავარია, მაინც მოვიგეთ. დამრტყმელი ბევრი გვყავს, უბრალოდ, მინდოდა, დაბრუნება გოლით აღმენიშნა და თერთმეტმეტრიანის შესრულება ამიტომ ვითავე. ნელ-ნელა ფორმაში შევალ და გოლების გატანასაც გავაგრძელებ“ — თქვა კრუზმა.

**გიორგი ქაქაბაძე**





ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩეხის თავის ქალა
## მე, ტერი, კარლო და ილარიო



ენრიკე ილარიოს ხვალ „ბარსა" გამოცდის

**ჯო კოული** დარწმუნებულია, რომ „ჩელსის" სათადარიგო მეკარე ილარიო ტრავმირებულ პეტრ ჩეხს „ბარსელონასთან" მატჩში ღირსეულად შეცვლის. განსაკუთრებით მძიმე ტრავმა ძირითადმა გოლკიპერმა ჩეხმა მიიღო. 24 წლის მეკარეს თავის ქალაზე ურთულესი ოპერაცია ჩაუტარეს და იგი დიდ ფეხბურთს ალბათ საკმაო ხნით გამოემშვიდობება. მწვრთნელ მაურინიუს თქმით კი, ჩეხს გაუმართლა, საერთოდ ცოცხალი რომ გადარჩა.

მეორე მეკარის, კუდიჩინის ტრავმა ნაკლებად მძიმეა, თუმცა იტალიელი კატალონიელებთან სალიგო ჯახში მონაწილეობას მაინც ვერ მიიღებს. მაურინიუ იძულებულია, პრინციპულ თამაშში კარი 30 წლის ილარიოს ჩააბაროს, რომელიც „ჩელსიმ" ამ ზაფხულს შეიძინა. ეს პორტუგალიელის დებიუტი იქნება „ჩელსის" ოფიციალურ შეხვედრებში.

„ილარიო შესანიშნავი მეკარეა. დარწმუნებული ვარ, „ბარსელონასთან" თავს არ შეირცხვენს. უმაღლეს დონეზე სათამაშოდ საკმარისი გამოცდილება აქვს" — განაცხადა ჯო კოულმა.

„რედინგთან", მეკარეების ტრავმების შემდეგ, კარში ჩადგომა ჯონ ტერის მოუწია. თუმცა კოული ამბობს, რომ ტანმორჩილობის მიუხედავად, ამ ავბედით თამაშში მეკარეობის ერთ-ერთი კანდიდატი თავადაც იყო.

„ვარჯიშებზე რამდენჯერმე ვიხუმრე და კარში ჩავდექი, თუმცა ტერის ეს საქმე ჩემზე უკეთ ეხერხება. თამაშის ბოლო წუთებზე მცველებს კართან უფრო ახლოს ყოფნა მართებდათ" — თქვა „ჩელსის" ფეხბურთელმა.

კოული გოლკიპერთა დაშავებას ასე იხსენებს: „როცა პეტრმა ტრავმა მიიღო, მოედანზე ჯერ არ ვიყავი, სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი და ვფიქრობდი — ვაითუ, თამაშს კუდიჩინიც გამოეთიშა, მაშინ ვის მოუწევს კარში ჩადგომა? ალბათ, მე... რაც ვივარაუდე, აღსრულდა, ოღონდ სანახევროდ — კუდიჩინიმ ტრავმა მიიღო, მისი ადგილი კი ჯო კოულის მაგივრად ჯონ ტერიმ დაიკავა".

„ჩელსის" არშემდგარი მეკარეც „რედინგთან" ახალმორჩენილი მუხლით თამაშობდა, სულ მცირე ხნის წინ კოულიც ტრავმირებული იყო. „მთავარია, რომ „რედინგთან" ჩვენ მებრძოლი ხასიათი გამოვავლინეთ. მეტოქემ კარგად ითამაშა და ყველანაირად შეეცადა, მატჩი „ჩელსის" მოგებით არ დასრულებულიყო. თუმცა, მიუხედავად კაცნაკლულობისა, მაინც ჩვენ გავიმარჯვეთ... გაითვალისწინეთ, რომ ტექნიკური ფეხბურთელებისთვის მსგავს თამაშებში მონაწილეობა უკიდურესად რთულია, მოწინააღმდეგე გეჭიდავება და ბურთთან მისვლის საშუალებას პრაქტიკულად არ გაძლევს. „ჩელსიმ" რთულ მატჩში გამარჯვების მიღწევა შეძლო" — სიამოვნებით აღნიშნა კოულმა. შეგახსენებთ, რომ მაურინიუს გუნდმა „რედინგი" ინგიმარსონის ავტოგოლით დაჯაბნა.

**ლადო ხომერიკი**



მატიას ფერნანდესი

# ჩილელი ჩელსის ჩილელს ჩაუყვანს

**სამხრეთ** ამერიკაში „ჩელსის" ჩილელმა აგენტმა ხორხე ალვიალმა დაადასტურა ინფორმაცია, რომ ლონდონელები ახალგაზრდა შემტევ ნახევარმცველ მატიას ფერნანდესით არიან დაინტერესებულნი. 20 წლის გარემარბი არგენტინაშია დაბადებული, მაგრამ ჩილელია და „კოლო კოლოში" თამაშობს. თუმცა მას მალე, ნამდვილად ახალ კლუბში ვიხილავთ, რადგან მსურველი ბევრია.

ფერნანდესი მსოფლიოს ერთ-ერთ უნიჭიერეს ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება. ამბობენ, „კოლო კოლო" მასში 6 მილიონ გირვანქას მოითხოვსო. დიდი შანსია, ჩილელმა იანვარში ან მომავალ ზაფხულს „ჩელსიში" ამოყოს თავი.

ხორხე ალვიალი: „ფერნანდესი ძალიან ნიჭიერია და მის განვითარებას საკმაო ხანია, ვაკვირდებით. ვაპირებთ, იგი კარგად შევისწავლოთ როგორც მინდორზე, ისე მის გარეთ. ვიცით, რომ მატიასი დისციპლინას იცავს და ფაქტია, დიდი პოტენციალი აქვს. იგი ორთაბრძოლებს არ უშინდება და სულ ცდილობს, შეუტიოს. ვფიქრობ, მას ადაპტაცია არც ერთ ქვეყანაში არ გაუჭირდება".

**კოკი კანდელაკი**

# რაიან ბაბელი ანრი გახდება



ბაბელს „მილანი" ეპატიჟება

**იტალიური** პრესის ცნობით, „მილანს" სურს, თავდასხმა ამსტერდამის „აიაქსის" ახალგაზრდა ფორვარდ რაიან ბაბელით გააძლიეროს. სურინამული ფესვების მქონე თავდამსხმელი უკვე რამდენიმე წელია, უმაღლეს დონეზე თამაშობს და ნელ-ნელა ჰოლანდიის ნაკრებშიც მკვიდრდება. „ნარინჯისფერთა" მწვრთნელი მარკო ვან ბასტენი 19 წლის ფეხბურთელისადმი დიდი სიმპათიითაა განწყობილი.

„ბაბელს დიდი პოტენციალი აქვს. მას შეუძლია, ახალი ტიერი ანრი გახდეს" — ცოტა ხნის წინ განაცხადა ვან ბასტენმა.

როგორც ამბობენ, „მილანის" ტრანსფერების გურუმ არიედო ბრაიდამ დიდი ხანია, ბაბელს თვალი დაადგა და მის შეძენას იანვარშივე შეეცდება. „აიაქსი" ახალგაზრდა ფორვარდს ალბათ სულ მცირე, 7-8 მილიონ ევროდ შეაფასებს.

„მილანის" ნახევარმცველმა ჯენარო გატუზომ კი მოულოდნელად განაცხადა, რომ გლაზგოს „რეინჯერსში" დასაბრუნებლად მზადაა და ეს, ადრე თუ გვიან მოხდება.

„არ ვიცი, როდის, მაგრამ ეს აუცილებლად მოხდება. ვალდებულიც ვარ, დავბრუნდე, რადგან „რეინჯერსის" თავმჯდომარეს დევიდ მიურეის შევპირდი. მას აგვისტოში ედინბურგში შევხვდი და მითხრა, რომ ჩემთვის კლუბის კარი ყოველთვის ღიაა. ფულის მხრივ არანაირი პრობლემები არ იქნება. ვიცი, რომ გლაზგოელებს ახლა ფინანსურად უჭირთ, თუმცა იქ გადასვლას ხელფასის გამო არ ვაპირებ" — განაცხადა რინომ.

გატუზოს პროფესიული კარიერა 1997 წელს „პერუჯაში" დაიწყო, მაგრამ იგი მალევე „რეინჯერსში" გაყიდეს, სადაც ერთი წელი გაატარა და „სალერნიტანას" მიაშურა. სალერნოული კლუბიდან კი 1999 წელს „მილანში" ამოყო თავი. „როსონერის" რიგებში მას უკვე 300-ზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული.

„გლაზგო რომ დავტოვე, იქიდან გამოფრენა გამთენიისას მომიხდა და მას მერე ეს გრძნობა ცუდად მაქვს ჩარჩენილი. მინდორზე ბოლომდე ვიხარჯები ხოლმე და მინდა, ეს ყველამ დაინახოს. ცხოვრებაშიც იგივე ხასიათი მაქვს, ღამე ჩუმად გაპარვა არ მჩვევია. ამიტომ ვთვლი, გარკვეულწილად „რეინჯერსის" ფანების ვალი მაქვს ამგვარი წამოსვლის გამო. მათ დიდი წვლილი მიუძღვით იმაში, რომ კარგი ფეხბურთელი გავხდი. თუმცა დაბრუნებას 35-36 წლის ასაკში არ ვაპირებ. გლაზგოში მაშინ ჩავალ, როცა კლუბისთვის სასარგებლო საქმის გაკეთება კიდევ შემეძლება" — დასძინა 28 წლის გატუზომ, რომელსაც შოტლანდიელი ცოლი ჰყავს.

**გიორგი კაკაბაძე**

# პერუციმ პულიჩი წააქცია და ფავალის არ ეჭიდავება



**ვეტერანმა** იტალიელმა მეკარემ ანჯელო პერუციმ განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს კარიერას დაასრულებს. გასულ კვირას „კალიარისთან" მატჩი, ტურინის „იუვენტუსისა" და „სკუადრა აძურას" ყოფილი ძირითადი გოლკიპერისთვის, 202-ე იყო „ლაციოს" რიგებში. ამით მან რომაელთა ცნობილი მეკარის ფელიჩე პულიჩის რეკორდი გაიმეორა და მალე მას გააუმჯობესებს კიდეც.

ჩატარებული მატჩების რაოდენობით „ლაციოს" ყველა დროის რეკორდი ჯუზეპე ფავალის ეკუთვნის, რომელსაც გუნდის ღირსება 401-ჯერ დაუცავს. თუმცა პერუცი ამის გაუმჯობესებაზე არ ფიქრობს.

„27 მაისს ჩემს ბოლო მატჩს ჩავატარებ. ვიცი, პრეზიდენტსა და მთლიანად კლუბის ხელმძღვანელობას გული დასწყდებათ. თუმცა ფავალის შედეგი რომ გავიმეორო, კიდევ 7-8 წელი უნდა ვითამაშო, ასაკი კი ხელს ნამდვილად არ მიწყობს. მეკარეობის რეკორდითაც კმაყოფილი ვარ და ვფიქრობ, წასვლის დროა. 99 პროცენტით გადაწყვეტილება მიღებული მაქვს" — თქვა 37 წლის პერუციმ.

„ლაციოს" „კალიარისთან" მატჩში მინუს ქულების გასტუმრების კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ უპირატესობა გოლში ვერ გარდასახა. გუნდის კაპიტანმა მასიმო ოდომ კი პირველ ტაიმში პენალტი გააფუჭა.

ანჯელო პერუცი: „ვფიქრობ, კარგად ვითამაშეთ. „კალიარი" ძლიერი გუნდია, მაგრამ გასაქანი არ მივეცით. მეორე ტაიმში დაღლა დაგვეტყო და შესაძლოა, ცოტა ნელა ვმოქმედებდით, თუმცა ფრე კარგ შედეგად მიმაჩნია. რახან რამდენიმე მატჩი მოვიგეთ, თუ ვინმეს ეგონა, რომ სულ ასე გაგრძელდებოდა, ცდებოდა, ეს მარტივი არ არის. მთავარია ასე ვითამაშოთ".

**კოკი კანდელაკი**

# ხეტაფეში შემწვარი კასილიასი



ფაბიო კაპელოს „რეალმა“ ლიგაზე „სტიაუასთან“ თამაშის წინ გულშემატკივრებს ხასიათი გაუფუჭა. სამეფო თეთრებმა ესპანურ პრიმერადივიზიონში თანაქალაქელ „ხეტაფესთან“ წააგეს. რუმინეთში გამგზავრებამდე „ასის“ ჟურნალისტი იკერ კასილიასს გაესაუბრა. „უბრალოდ, გადაგვიარეს...“ — მოკლედ და სევდიანად აღიარა „რეალის“ გოლკიპერმა

— ვარჯიშის შემდეგ თქვენ და თქვენს თანაგუნდელებს კაპელო თითქმის ერთი საათის განმავლობაში გესაუბრებოდათ. მწვრთნელი ძალიან გაბრაზებულია?

— მარტო მწვრთნელი კი არა, ყველანი გაბრაზებულები ვართ. ცხადია, რომ იმ მატჩში ცუდად ვითამაშეთ. ან ჩვენი საქმე საშინლად ცუდად გავაკეთეთ, ან ბედმა ბოლომდე ზურგი გვაქცია. ახლა მთავარია, „ხეტაფესთან“ განცდილი მარცხი მალე დავივიწყოთ. ჩემპიონთა ლიგაზე წინ მნიშვნელოვანი თამაში გველოდება. „კოლიზეუმ ალფონსო პერესის“ შეხვედრაზე მომავალშიც ბევრს ილაპარაკებენ, ოღონდ დღეს „სტიაუაზე“ უფრო ვფიქრობთ. ჩემი აზრით, წაგებულმა თამაშმა შესაბამისი გამოცდილება უნდა შეგვძინოს.

გავიხსენოთ ის მცირედი დადებითი, რასაც „ხეტაფესთან“ მივაღწიეთ და ბუქარესტში უსიამოვნო სიურპრიზებსაც თავიდან ავიცილებთ.

— „კოლიზეუმ ალფონსო პერესზე“ „რეალმა“ სეზონის ყველაზე ცუდი მატჩი ჩაატარა? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ლიგაზე „ლიონთანაც“ მეტად უფერულად იბურთავეთ...

— ვფიქრობ, რომ „ხეტაფესთან“ სეზონის ყველაზე უარესი შეხვედრა გვქონდა. ლიონში რაღაც მაინც გავაკეთეთ, მადრიდში კი... „ხეტაფემ“, მატჩის სადავეები იგდო ხელთ და თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში, სიტუაციას მეტოქე აკონტროლებდა. უბრალოდ, „რეალმა“ ვერ ივარგა, ამას ვაღიარებ და თავის მართლებასაც არ დავიწყებ. მხოლოდ შემიძლია, იგივე გავიმეორო — განვლილ მატჩზე თავის მტვრევა არაფერს მოგვცემს, „სტიაუასთან“ ჯახზე უნდა ვიფიქროთ... ფეხბურთის წესი ასეთია, როცა მოიგებ, წინა მარცხი გავიწყდება. თუმცა, როცა აგებ, ძველ გამარჯვებებს ივიწყებ... რა გაეწყობა, რაც უნდა მოხდეს, მაინც მადრიდის „რეალად“ დავრჩებით.

— მთელი თამაში „რეალს“ მეტოქის კარში ბურთი ხეირიანად არ დაურტყამს. ვინძლო, „ხეტაფეს“ გოლკიპერ აბონდარსიერისა შეგშურდათ კიდეც...

ჰოდა, ბალტიის ლიგის საუკეთესო მეპასე სწორედ გიორგი ცინცაძეა. ის მატჩში, საშუალოდ, შვიდ პასს აკეთებს, რაც გამთამაშებლებით განთქმულ ლიტვა-ლატვია-ესტონეთის გაერთიანებული ლიგისთვისაც კი ძალიან ბევრია. ისედაც ხომ კარგად თამაშობდა და ბოლო ტურში ცინცაძემ საერთოდ თავი გაიგიჟა — ორი კონკილა მოხსნაც და ის მოედნიდან სამმაგ დუბლს გამოიტანდა, თუმც უამისოდაც შთამბეჭდავია მისი მონაგარი.

ერთი ეგაა, რომ „როკმა" წააგო. ერთ დროს ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელმა „ასკ რიგამ" ტარტუელები 75:70 დაამარცხა. არადა, ბოლო მეოთხედის წინ როკერები სამ ქულას იგებდნენ.

რიგელებამდე „როკერები" ლიტვურ „პანევეჟისს" შეხვდნენ და ცინცაძის ძალისხმევით იოლადაც დაამარცხეს მეტოქე. ქართველი გამთამაშებლის ანგარიშზე 18 ქულა, 5 პასი, 4 მოხსნა და ამდენივე ჩაჭრა დაგროვდა.

გასული კვირის კიდევ ერთი ყოჩაღი ლეგიონერია ზაზა ფაჩულიაა, რომელმაც თავი ნბა-ს უძლიერესი ცენტრის წინააღმდეგ ორთაბრძოლაში გამოიჩინა. „ატლანტა" მორიგ საგამოფენო მატჩში მოქმედ ჩემპიონ „მაიამის" ხვდებოდა ლ სამაყოლდაც გაიმარჯვა — 91:81. ჩვენთვის უფრო საინტერესო კი ისაა, რომ შაკილ ონილის 9 ქულის წილ ფაჩულიამ 18 დააგროვა. ზაზამ მხოლოდ 22 წუთი ითამაშა, მაგრამ თითქმის უშეცდომოდ ისროლა, 8 ორქულიანიდან 7 ჩააგდო და ატლანტელთა გამარჯვებაშიც ლომის წილი დაიდო.

ჩემპიონებამდე კი „ქორები" „ნიუ ჯერსის" შეხვდნენ და დამარცხდნენ. ზაზა ფაჩულიამ 16 წუთში 8 ქულა და 3 მოხსნა მიითვალა.

წარმატებულ სვლას აგრძელებს ვახტანგ ნაცვლიშვილის „დიჟონი", რომელიც „რეიმსის" დამარცხების შემდეგ საფრანგეთის ჩემპიონატში მეორე-მეექვსე ადგილებს იყოფს. თუ ვატო აქამდე პასიური იყო, ამჯერად ბევრიც ითამაშა და ქულებითაც შეეშველა თავისიანებს. მწვრთნელი ქართველ ფორვარდს 21 წუთი ენდო და ვატომაც 4-დან ყველა ორქულიანი ჩააგდო, რასაც ერთი საჯარიმოც მიაყოლა და დიჟონელებს ხელი გვარიანად წააშველა.

ისევ წააგო გორდონ ჰერბერტის „პო ორტეზმა", ამჯერად შინ „კლერმონთან" და ფრანგული ლიგის მაჩანჩალებს დაუძმობილდა. რაც საქართველოს ნაკრების თავკაცმა პოელთა გუნდი ჩაიბარა, მხოლოდ ერთი გამარჯვება იზეიმა, რაც დიდი ამბიციების მქონე კლუბისთვის უცუდესი შედეგია.

დანარჩენი ლეგიონერების ამბებს კი ორ სიტყვაში ჩავტევთ, რაკი მათ თავი ბევრით ვერაფრით გამოიჩინეს. ვლადიმერ ბოისამ „სიენაში" 14 წუთი ითამაშა „ტერამოს" წინააღმდეგ და 2 ქულას დასჯერდა, ოლიმპიელმა მანუჩარ მარკოიშვილმა კი „ზადართან" წაგებულ შეხვედრაში 20 წუთში 5 ქულა შეაშველა ლიუბლიანელებს.

დაბოლოს, ნიკა ცქიტიშვილის ორწუთიან დებიუტზე. „ნიუ იორკმა" გასულ კვირაში 2 მატჩი ითამაშა და ერთი „ნიუ ჯერსის" მოუგო, მეორეში კი „ფილადელფიასთან" წააგო. „ნიკტა" მაშინ შევიდა „ნიუ ჯერსისთან" მოედანზე, როცა „ნიუ იორკს" გამარჯვება განაღდებული ჰქონდა. ბოლო ორ წუთში ნიკამ 2 ჯარიმა ჩააგდო და ერთი ბურთი მოხსნა.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | სერია A | ტერამო | შ | 86:83 | 14 | 2 | 2 | 0 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა | ზადარი | ს | 76:82 | 20 | 5 | 3 | 2 |
| | | ადრიატიკის ლიგა | შიროკი | შ | 73:67 | 18 | 10 | 3 | 1 |
| გიორგი ცინცაძე | როკი | ბალტიის ლიგა | ასკ რიგა | ს | 70:75 | 36 | 14 | 8 | 11 |
| | | ბალტიის ლიგა | პანევეჟისი | შ | 82:76 | 37 | 18 | 5 | 4 |
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა | საგამოფენო მატჩები | ჰიუსტონი | ს | 93:107 | 16 | 8 | 3 | 0 |
| | | საგამოფენო მატჩები | მაიამი | შ | 91:81 | 22 | 18 | 4 | 1 |
| ნიკა ცქიტიშვილი | ნიუ იორკი | საგამოფენო მატჩები | ფილადელფია | ს | 100:102 | არ უთამაშია | | | |
| | | საგამოფენო მატჩები | ნიუ ჯერსი | შ | 111:97 | 3 | 2 | 1 | 0 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | დიჟონი | საფრანგეთის ჩემპიონატი | რეიმსი | ს | 75:64 | 21 | 9 | 5 | 3 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

სამბო

# რუსეთში ქართული დაუკრეს



**ქართველი** სამბისტები რუსეთიდან ხუთი მედლით ბრუნდებიან. მოსკოვის „ლუჟნიკების" დარბაზში ჩატარებულ ახალგაზრდათა და ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართულმა გუნდებმა სავიზო პრობლემის გამო ბოლო მომენტშიღა ჩააღწიეს. მასპინძელთა არცთუ სახარბიელო დახვედრის მიუხედავად, ჩვენებურებმა ბრწყინვალედ იჭიდავეს და მაყურებელს ორჯერ ქართული ჰიმნიც მოასმენინეს.

ახალგაზრდების ანგარიშზე თითო ოქრო-ვერცხლია. ევროპის მოქმედმა ჩემპიონმა გელა სანიკიძემ (68კგ) მსოფლიოსაც გადმოხედა ზემოდან. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ გელამ გადამწყვეტ ბრძოლაში რუს არტიომ არტემიევს აჯობა. დავით შენგელიამ (74კგ) ფინალამდე ყველას სძლია, ოქროს შეხვედრაში კი აზერბაიჯანელ არაზ მუხტაროვთან ვეღარას გახდა.

ჭაბუკებმა სამივე სინჯის მედალს გაუსინჯეს გემო. რობერტ მშვიდობაძემ (56კგ) ბრინჯაო ირგუნა, ილია ტყეშელაშვილმა (52კგ) — ვერცხლი, ნიკოლოზ კუციამ (81კგ) კი — ოქრო. კუციამ ფინალში ტაჯიკი ისკანდერ სუბხანოვი დაამარცხა.

ოქროს მედლების უმეტესობა, ცხადია, მასპინძლებმა მოიპოვეს, თუმცა ამაშიც ქართული ხელი გაერია. 18 წლამდე გოგონებში 65 და 70 კილოგრამ წონით კატეგორიებში ჩემპიონები დები სორდიები გახდნენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ვალერი ქუთათელაძის ფოტო

# ქუთაისური რაგბი 40 წლისაა

1966 **წლის** 28 სექტემბერს ქუთათურებმა პირველი სარაგბო შეხვედრა ჩაატარეს თბილისის „დინამოსთან". მართალია, ის შეხვედრა წააგეს, მაგრამ სამ წელიწადში ქუთაისურმა რაგბიმ არნახული აღმასვლა განიცადა და 1969 წელს საქართველოს ჩემპიონები გახდნენ. 1975 წელს ისინი უკვე საბჭოთა კავშირის პირველობაზე თამაშობდნენ და 1984 წელს ვერცხლის მედლები მოიპოვეს, ხოლო 1987 წლიდან ქუთაისური რაგბის „ოქროს ხანა" იწყება — ზედიზედ ხდებიან საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და თასის მფლობელები.

ქუთაისმა სხვადასხვა თაობის არაერთი სახელიანი მორაგბე აღუზარდა საქართველოს — დუგლას კავთელაშვილი, ნუგზარ ძაგნიძე, ოლეგ ლიპარტელიანი და სხვაც არაერთი.

სწორედ ქუთაისური რაგბის 40 წლის იუბილეს ეძღვნებოდა შეხვედრა, რომელშიც ერთმანეთს ქუთაისელი და თბილისელი ვეტერანები ერაგბებოდნენ ერთმანეთს. ქუთაისში სტუმრად რუსი ვეტერანებიც მიიწვიეს, თუმცა გასაგები მიზეზების გამო ისინი ვერ ჩამოვიდნენ.

რაც შეეხება შეხვედრას, ის ფრედ, 10:10 დასრულდა. ქუთაისელთაგან ლელო საშა ნაჭყეპიამ და ნუგზარ ძაგნიძემ გაიტანეს, ხოლო სტუმართაგან — ანზორ ალხაზაშვილმა და თემურ რუხაძემ.

**ზაზა ცინცაძე**



მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი
სანტო დომინგო. დომინიკის რესპუბლიკა

# უქართველო მსოფლიოზე ზინტირიდისმა იტარიელა

| | | |
|---|---|---|
| | **60 კგ** | |
| 1 | ნიჯათ შიხალიზადა | (აზერბაიჯანი) |
| 2 | მასანორი სუძუკი | (იაპონია) |
| 3 | ალექსანდროს კორნტეევი | (საბერძნეთი) |
| 3 | როკი დრაკშიჩი | (სლოვენია) |
| | **66 კგ** | |
| 1 | ტარიელ ზინტირიდისი | (საბერძნეთი) |
| 2 | სერგეი ლიმი | (უზბეკეთი) |
| 3 | აჰმედ აბუ ელჰერი | (ეგვიპტე) |
| 3 | ტომაშ კოვალსკი | (პოლონეთი) |
| | **73 კგ** | |
| 1 | მიშელ რემილიენი | (საფრანგეთი) |
| 2 | კაზუში ნიშიოკა | (იაპონია) |
| 3 | კი ჩუნ ვანგი | (ს. კორეა) |
| 3 | სირაჟუდინ მაგომედოვი | (რუსეთი) |
| | **81 კგ** | |
| 1 | ალიბეკ ბაშკაევი | (რუსეთი) |
| 2 | ირაშ ამირხანი | (ირანი) |
| 3 | აძელ კლერჟე | (საფრანგეთი) |
| 3 | კიოჰეი კაკიტა | (იაპონია) |
| | **90 კგ** | |
| 1 | მარვინ დე ლა კროსი | (ჰოლანდია) |
| 2 | ჰერვე ფიჩოტი | (საფრანგეთი) |
| 3 | ალ მუჰამადნია | (ირანი) |
| 3 | ტენტორე მასმანიდისი | (საბერძნეთი) |
| | **100 კგ** | |
| 1 | კირილ მარეტი | (საფრანგეთი) |
| 2 | ალიუს ბრაციულისი | (ლიტვა) |
| 3 | დიმიტრი რენევი | (რუსეთი) |
| 3 | ნორიჰიდე იამამოტო | (იაპონია) |
| | **+100 კგ** | |
| 1 | ტედი რინერი | (საფრანგეთი) |
| 2 | სტანისლავ ბონდარენკო | (უკრაინა) |
| 3 | ტინო ბიერაუ | (გერმანია) |
| 3 | დიმიტრი სტერხოვი | (რუსეთი) |

**დომინიკის** რესპუბლიკის მთავარქალაქ სანტო დომინგოში ახალგაზრდა ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატმა ქართველების გარეშე ჩაიარა. ჩვენი ნაკრების კარიბეთში ჩაუსვლელობის მიზეზი გასულ კვირაში გაცნობეთ და მოკლედლა შეგახსენებთ — ბორის ფირცხელიანის გუნდი თბილისში გერმანიიდან გამოაბრუნეს, ამერიკული ვიზების არქონის გამო.

ოთხდღიანი ტურნირის სამი დღე ისე მიილია, ხუთივე წონითი კატეგორიის კვარცხბეკზე ფრანგები ავიდნენ. დასკვნითი დღის ორ წონაში ჩემპიონ-პრიზიორებში ვერც ერთი ფრანგი ველარ მოხვდა, მაგრამ ისინი უკვე იმხელა მარაგით უსწრებდნენ კონკურენტებს, გუნდურ ჩათვლაში ახლოს არავინ გაიკარეს. სამფეროვნების ანგარიშზე სამი ოქრო და თითო ვერცხლი და ბრინჯაოა.

ქართველთა არყოფნაში მედალი ერთმა ჩვენებურმა მაინც მოიპოვა. საბერძნეთის სახელით მოჭიდავე ტარიელ ზინტირიდისი 66 კილოგრამში ჩემპიონი გახდა. შეგახსენებთ, ამ ძიუდოისტმა შარშან „საგარეჯოს" სახელით ევროპის საკლუბო ჩემპიონატზეც იჭიდავა, თუმცა საბუდაპეშტო განაცხადში ვეღარ მოხვდა.

60 კილოგრამში ევროპის მოქმედმა ჩემპიონმა, უკრაინის სახელით მოჭიდავე გიორგი ზამთარაიამ დომინკური გამოსვლაც კარგად დაიწყო, მაგრამ მესამე წრეში ოქროს შანსი დაკარგა, მერე კი რეპეშაჟშიც წააგო.

ყველაზე დიდი მოულოდნელობა იაპონიის ნაკრების ოქროს გარეშე დარჩენა იყო. ძიუდოს სამშობლოს შვილებმა ორი ფინალი წააგეს და გუნდურში მეექვსე ადგილს დასჯერდნენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**





# ფარიკაობის სკოლა ძველ სტატუსს და ახალ შენობას ელის

**ხმალ-ხანჯალი** ოდითგანვე ქართველი კაცის ალკაზმულობის განუყოფელი ნაწილი იყო. უხანჯლოდ ქართული ჩოხაც კი წარმოუდგენელია, ფარიკაობა კი ქართული ცეკვის ერთ-ერთი მშვენება გახლავთ.

ამით იმის თქმა გვინდა, რომ ფარიკაობა ქართველი კაცის ბუნებაშია, თანამედროვე ყოფაში კი ეს ყოველივე სპორტულ ფარიკაობაში აისახა, რაც არაერთი წარმატებით დაგვირგვინდა. პატარა საქართველოს მოფარიკავენი ვეება საბჭოთა კავშირის ნაკრებში იმკვიდრებდნენ ადგილს, მერე კი იტალიის, საფრანგეთის, უნგრეთისა და მსოფლიოს სხვა აღიარებული საფარიკაო ქვეყნების წარმომადგენლებთან ბრძოლაში საპატიო კვარცხლბეკზეც ადიოდნენ.

ამ წარმატებებს ხელს უწყობდნენ საქართველოს საფარიკაო სპორტსკოლები, რომელთა შორის მოწინავე თბილისში იყო. ეს გახლდათ 1972 წელს დაფუძნებული სპორტსკოლა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონი ნუგზარ ასათიანი.

1983 წელს ამ სპორტსკოლას ოლიმპიური რეზერვების სტატუსი მიენიჭა, რამაც მისი ავტორიტეტი გაზარდა და ფრიად სახელიანიც გახადა. ეს სპორტსკოლა საქართველოს ნაკრების სამჭედლოდ გადაიქცა. საქართველოს ნაკრების 80 პროცენტი სწორედ ამ სკოლის აღსაზრდელები იყვნენ. არადა, სკოლას საკუთარი დარბაზი არ ჰქონია.

— სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ 1995 წელს თბილისის მერიაში რეორგანიზაციის შედეგად ეს საფარიკაო კერა ოლიმპიური მზადების ცენტრს დაუქვემდებარეს და სკოლა განყოფილებად გადაიქცა — გვეუბნება ამ სკოლისა თუ განყოფილების ამჟამინდელი ხელმძღვანელი *ლუდვიგ ღაღანიძე* — რამდენად მართებული იყო ამგვარი გადაწყვეტილება, თავად განსაჯეთ. საკუთარი დარბაზი არც ბათუმელებს აქვთ, არც ქუთაისელებს, მაგრამ ერთსაც და მეორესაც ოლიმპიურ რეზერვების სტატუსი დარჩა, ჩვენთან კი მხოლოდ განყოფილებაა მაშინ, როცა ნაკრებში ლომის წილი კვლავ თბილისელებზე მოდის. ეს საფარიკაო განყოფილება თუ მისი წინამორბედი სპორტსკოლა საქართველოს ყოფილი სპორტკომიტეტის ბაზაზე იყო. მერე ვაკეში რომ ძალოსანთა, მოკრივეთა და მოფარიკავეთა სპორტკომპლექსი აიგო, სკოლის მუშკეტერებმაც იქ დაიდეს ბინა. თითქოს ნორმალური ბაზა იყო, მაგრამ იმ განუკითხაობისა და მთელი ქვეყნის დაღმასვლის პერიოდში ეს ნაგებობაც ისევე გავერანდა, როგორც ბევრი სხვა. იატაკი დალპა და ჩაინგრა, დახეთქილი კედლებიდან ზამთარში ცივი ქარი ქროდა, შენობაში კი ისე წვიმდა, როგორც ღია ცის ქვეშ. ამიტომაც შენობის დანგრევა და მის ნაფუძარზე ახლის აშენება გადაწყდა. ახლა მომავალი კომპლექსის საძირკველი იჭრება და მზადდება, მშენებლობის დასრულება კი საგაისოდაა ნავარაუდევი. მანამდე კი...

მანამდე საქართველოს ფარიკაობის ფედერაციას საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა ნახევარადსარდაფში ნახევრად ბნელი ფართობი გამოუყო. ფედერაციამ იქვე ეს სპორტსკოლა თუ განყოფილება შეიფარა, ერთობლივი ძალით ის დარბაზი მოაწესრიგეს, ცოტა რაღაცას დაამსგავსეს და მუშაობაც გაჩაღდა. ენთუზიასტ მწვრთნელთა გასახარად, ამ დარბაზს ძველებურად ნორჩი თაობა მიეძალა, რამაც სკოლისა და ფედერაციის ხელმძღვანელობა იმედით აღავსო.

— ბოლო დროს ფარიკაობა მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა — გვეუბნება ლუდვიგ ღაღანიძე — ახლა ყოფას ისიც გვიადვილებს, რომ ფედერაცია სკოლას იჯარისა და კომუნალური გადასახადებისგან გვათავისუფლებს. ფედერაციისავე დახმარებით, რომელსაც თავის მხრივ სპორტის დეპარტამენტი და განსაკუთრებით ოლიმპიური ფონდი თუ სხვა სპონსორები მხარში ამოუდგნენ, საფარიკაო აღჭურვილობა მივიღეთ. შინ თუ გარეთ შეჯიბრებებიც მოგვიმრავლდა და გაისად კარგი სპორტდარბაზიც გვექნება.

ერთი სიტყვით, დღეისთვის ამ სკოლის საწუხარი მისი სტატუსია. მისთვის ძველი სტატუსის აღდგენა ფარიკაობას მეტად წაადგება და მაშინ ფარიკაობა მხოლოდ ქართული ცეკვის მშვენება არ იქნება, სპორტსაც ძველებურად მოუტანს სახელსა და დიდებას.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

ველოსპორტი

# ეძღვნება ძმას
## სეზონი ბეტინიმ დახურა



პაოლო ბეტინი

**მსოფლიოს** ჩემპიონის, იტალიელი პაოლო ბეტინის გამარჯვებით დასრულდა წლევანდელი პრო-ტურის ბოლო რბოლა „ჯირო ლომბარდია“.

ბეტინიმ პირველად იმარჯვა მსოფლიოს ჩემპიონის სარგო, ცისარტყელას ფერებით მოხატული მაისურით და ეს გამარჯვება ორი კვირის წინათ ავტოკატასტროფაში დაღუპულ ძმას, საუროს მიუძღვნა.

ლომბარდიის ერთდღიანი კლასიკური მენდრიუსოდან კომომდე 245 კილომეტრზე იყო გაჭიმული და რბოლა 6 საათზე მეტხანს გაგრძელდა. ბეტინი, რომელმაც სულ ბოლო მომენტში გადაწყვიტა ტრასაზე გასვლა, თავიდანვე აქტიური იყო და საბოლოო ჯამში ამ აქტიურობამ შედეგი გამოიღო კიდეც.

„ქვიკ სტეპის“ მრბოლმა პირველი სერიოზული იერიში ფინიშამდე 45 კილომეტრით ადრე წამოიწყო ლეგენდარულ ჩიზალოს მთაზე, მაგრამ მაშინ გაქცევა ვერ მოახერხა — ბეტინის უკან ათიოდე მრბოლი მიყვა, რომელთა შორის დანილო დი ლუკა, დავიდე რებელინი, სამუელ სანჩესი, კრისტიან მორენი და ფრანკ შლეკი იყვნენ.

პირველი არა და, ბეტინის მეორე იერიში მომაკვდინებელი აღმოჩნდა დანარჩენებისთვის — ფინიშამდე 15 კილომეტრი რომ რჩებოდა, პაოლო კვლავ წინ გაიჭრა და მისი მიყოლა მხოლოდ „გეროლშტაინერის“ გერმანელმა ფაბიან ვეგმანმა შეძლო, მაგრამ ამ, შედარებით უსახელო მეტოქესთან ჭიდილი მსოფლიოს ჩემპიონისთვის პრობლემა აღარ იყო — ბეტინიმ ეულად უწია ფინიშს, უაღრესად ემოციურად, ცრემლებით აღნიშნა გამარჯვება, ხოლო ვეგმანს ბოლოსკენ სანჩესმაც გაასწრო და ამით პრო-ტურის საერთო ჩათვლაში თავის, ასევე მეორე ადგილს მეტი სიმყარე შემატა.

სანჩესზე წინ პრო-ტურის კლასიფიკაციაში მხოლოდ მეორე ბასკი ალეხანდრო ვალვერდეა, რომელმაც კარგა ხანია, რაც პირველობა გაინაღდა და ამიტომაც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, სეზონის ბოლო სამ რბოლაში მონაწილეობა აღარ მიიღო.

გუნდებს შორის პრო-ტურის გამარჯვებული დანიური **CSC** გახდა, ხოლო ეროვნებათა თასი ესპანელებმა მოიგეს.

ერთი აღსანიშნავი ამბავიც — „ჯირო ლომბარდიაზე“ ელოდნენ წლევანდელი „ჯირო დიტალიას“ გამარჯვებულის ივან ბასოს გამოჩენას — იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა და ქვეყნის ანტისადოპინგო სამსახურმა ყბადაღებული „ფუენტესის საქმეში“ ეჭვმიტანილ მრბოლს ყველა ბრალდება მოუხსნა, თუმცაღა თითქმის სამსაათიანი ბჭობის შემდეგ გადაწყდა, რომ ბასო ლომბარდიულ რბოლაში მონაწილეობას არ მიიღებდა და როგორი იქნება მისი მომავალი, ჯერაც უცნობია.

**ჯირო ლომბარდია. მენდრიუსო — კომო. 245 კმ.**

| | |
|---|---|
| 1. პაოლო ბეტინი (იტალია, ქვიკ სტეპი) | 6 სთ. 8 წთ. 6 წმ. |
| 2. სამუელ სანჩესი (ესპანეთი, ეუსკალტელი) | +8 წმ. |
| 3. ფაბიან ვეგმანი (გერმანია, გეროლშტაინერი) | +8 წმ. |
| 4. კრისტიან მორანი (იტალია, კოფიდისი) | +14 წმ. |
| 5. დავიდე რებელინი (იტალია, გეროლშტაინერი) | +14 წმ. |

**პრო-ტურის საბოლოო კლასიფიკაცია**

**მრბოლები**: 1. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, ილეს ბალეარსი) 285 ქულა; 2. სამუელ სანჩესი (ესპანეთი, ეუსკალტელი) 213; 3. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 165; 4. კედელ ევანსი (ავსტრალია, ლოტო) 162; 5. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, ასტანა) 156.

**გუნდები**: 1. CSC (დანია) 388 ქულა; 2. ილეს ბალეარსი (ესპანეთი) 350; 3. რაბობანკი (ჰოლანდია) 346; 4. დისქავერი (აშშ) 327; 5. ლამპრე (იტიალია) 327.

**ქვეყნები**: 1. ესპანეთი 808 ქულა; 2. იტალია 651; 3. გერმანია 475.

ხელბურთი

## ჩემპიონთა ლიგა. ვაჟები
### ჯგუფური ეტაპი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**A ჯგუფი**

**ბოსნა** (ბოსნია) 25:31 **ვესპრემი** (უნგრეთი)
**პორტლენდ სან ანტონიო** (ესპანეთი) 42:25 **პოვარსკა ბისტრიცა** (სლოვაკეთი)
პორტლენდი 6 ქულა, ვესპრემი 4; ბოსნა 2; ბისტრიცა 0

**B ჯგუფი**

**მეშკოვო** (ბელარუსი) 27:34 **სიუდად რეალი** (ესპანეთი)
**პიკ სეგედი** (უნგრეთი) 27:27 **კადეტენ შაფჰაუზენი** (შვეიცარია)
სიუდად რეალი 6; შაფჰაუზენი 3; პიკ სეგედი 3; მეშკოვო 0

**C ჯგუფი**

**ცრვენა ზვეზდა** (სერბეთი) 30:36 **კოლდინგი** (დანია)
**შამბერი** (საფრანგეთი) 21:12 **ვისლა** (პოლონეთი)
კოლდინგი 6; შამბერი 4; ვისლა 2, ცრვენა ზვეზდა 0

**D ჯგუფი**

**მეტალურგი** (მაკედონია) 18:22 **ზაგრები** (ხორვატია)
**ფლენსბურგი** (გერმანია) 34:29 **ჩეხოვსკიე მედვედი** (რუსეთი)
ფლენსბურგი 6, ზაგრები 4, ჩეხოვსკიე მედვედი 2, მეტალურგი 0

**E ჯგუფი**

**კონსტანცა** (რუმინეთი) 28:37 **კილი** (გერმანია)
**გუდმე** (დანია) 45:32 **ბანიკ კარვინა** (ჩეხეთი)
კილი 6, კონსტანცა 4, გუდმე 2, ბანიკ კარვინა 0

**F ჯგუფი**

**გუმერსბახი** (გერმანია) 34:31 **პივოვარნა ლაშკო** (სლოვენია)
**სანდფიორდი** (ნორვეგია) 35:26 **ფრამ რეიკიავიკი** (ისლანდია)
გუმერსბახი 6, პივოვარნა ლაშკო 4, სანდფიორდი 2, ფრამი 0

**G ჯგუფი**

**პანელინიოსი** (საბერძნეთი) 22:37 **ბარსელონა** (ესპანეთი)
**ჰამარბი** (შვედეთი) 28:32 **გოლდ კლუბ კოზინა** (სლოვენია)
ბარსელონა 6, ჰამარბი 2, პანელინიოსი 2, გოლდ კლუბი 2

**H ჯგუფი**

**ვალიადოლიდი** (ესპანეთი) 34:25 **მონპელიე** (საფრანგეთი)
**A1 ბრეგენცი** (ავსტრია) 20:22 **პორტოვიკ იუჟნი** (უკრაინა)
ვალიადოლიდი 6, მონპელიე 4, პორტოვიკ იუჟნი 2, A1 ბრეგენცი 0




ჭადრაკი

# ტოპალოვი რევანშს ითხოვს, კრამნიკი კომპიუტერს



ვესელინ ტოპალოვი

**ფიდეს** ვერსიით მსოფლიოს ექსჩემპიონს, ბულგარელ დიდოსტატ ვესელინ ტოპალოვს რუს ვლადიმირ კრამნიკთან მატჩ-რევანში სურს. ტოპალოვმა სულ რაღაც სამი დღის წინ დათმო რუსთან ტიტული და უკვე რევანშზე ალაპარაკდა.

„ვფიქრობ, კრამნიკთან განმეორებითი თამაში აუცილებელია — განაცხადა ტოპალოვის მენეჯერმა სილვიო დანაილოვმა — ფიდეს რეგლამენტით, ვისაც რეიტინგში 2700-ზე მეტი კოეფიციენტი აქვს, მსოფლიოს ჩემპიონის გამოწვევა შეუძლია. საპრიზო თანხას, 1,5 მილიონ დოლარასაც ვიშოვით და, როგორც წესია, 20 პროცენტს ფიდეს ჩავურიცხავთ.“

ბულგარელები იმედოვნებენ, რომ თამაში, სავარაუდოდ, მომავალი წლის მარტში შედგება.

კრამნიკი უახლოეს მომავალში ტოპალოვთან თამაშს არ აპირებს, თუმც, რა იქნება მომავალში, უცნობია.

„ახლა დასვენება მჭირდება, ერთ თვეში კი კომპიუტერ FRITZ 10-თან მელის პაექრობა და ჯერჯერობით მხოლოდ ამაზე ვფიქრობ“ — განაცხადა მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა.

**ლაშა გეგეჭკორი**




სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: "წიგნის სახლი" (გამსახურდიას 31); "სამშობლო" (ყაზბეგის 4); "ლიბრა" (კერესელიძის 12, "მეგალაინი"); "სანტა ესპერანსა" (სანქტ-პეტერბურგის 12); "მერანი" (რუსთაველის 42); "აისი" (ალმაშენებლის 89); "საუნჯე" (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844

# სარეიტინგო ადი-ჩადი



ანა ტატიშვილი

**ორშაბათს** პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა და **ATP**-სა და **WTA**-ს კლასიფიკაციებში მოხსენიებული ქართველების პოზიციებს მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია.

**ATP**-ის რეიტინგში კვლავაც ორი ჩვენებურია — ირაკლი ლაბაძე 165-ე ადგილზეა, ხოლო ლადო ჩიხლაძე — 484-ეზე.

ქალებს რაც შეეხება, **WTA**-ს კლასიფიკაციაში ათი ქართველია და მათგან ყველაზე მაღლა კვლავაც მაკა ჩახნაშვილია, რომელმაც სამი ადგილით წინ წაიწია და 183 ქულით 145-ე საფეხურზე აინაცვლა. ორი პოზიციით წინ წავიდა და 73 სარეიტინგო ქულით 304 ადგილზეა ანა ტატიშვილი. აი, სოფო მელიქიშვილმა კი პირიქით, ორი პოზიცია დაკარგა და 65,5 ქულით 318-ე ადგილზე ჩაინაცვლა.

ამ სამეულის გარდა ათასეულში კიდევ ოთხი ჩვენებურია — სალომე დევიძემ 16 პოზიცია დაკარგა და 20,75 ქულით 594-ე ადგილზე ჩაინაცვლა; სოფო შაფათავამ 15,25 ქულით ორი საფეხურით მაღლა, 693-ეზე აიწია; ეკა გორგოძე 12 ქულით კვლავ 762-ე ადგილზეა, ხოლო მანანა შაფაქიძემ, ვისაც 8,25 ქულა აქვს, 5 პოზიცია დაკარგა და ახლა იგი 895-ეა.

კიდევ სამი ქართველი ათასეულს მიღმაა. თეონა ცერცვაძემ სამი პოზიცია მოიგო და 5,25 ქულით 1078-ეა, ხოლო მარიამ ქურდაძემ და ია ჯიქიამ, შესაბამისად 14 და 10 ადგილით უკან დაიხიეს. ქურდაძე 2,75 ქულით 1337-ეა, ჯიქია კი 1,5 ქულით — 1460-ე.

## კაცები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 7370 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 4625 |
| 3. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 3190 |
| 4. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 2900 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2590 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 2585 |
| 7. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2245 |
| 8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2240 |
| 9. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 2066 |
| 10. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 1850 |
| 11. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1830 |
| 12. რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი) | 1785 |
| 13. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) | 1750 |
| 14. ტომი ჰაასი (გერმანია) | 1700 |
| 15. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1675 |
| 16. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 1350 |
| 17. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 1325 |
| 18. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 1315 |
| 19. იარკო ნიემინენი (ფინეთი) | 1315 |
| 20. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 1295 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 1374 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 825 |
| 3. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 436 |
| 4. ენდი როდიკი (აშშ) | 434 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 418 |
| 6. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 396 |
| 7. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 395 |
| 8. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 370 |
| 9. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 369 |
| 10. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) | 348 |
| 11. ტომი ჰაასი (გერმანია) | 318 |
| 12. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 285 |
| 13. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 280 |
| 14. რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი) | 268 |
| 15. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 265 |
| 16. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 263 |
| 17. იარკო ნიემინენი (ფინეთი) | 250 |
| 18. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 248 |
| 19. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 244 |
| 20. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 215 |

## ქალები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 3667 |
| 2. ჟუსტინ ენინ-არდენი (ბელგია) | 3473 |
| 3. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3037 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2408 |
| 5. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 2286 |
| 6. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 2110 |
| 7. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1983 |
| 8. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1869 |
| 9. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1850 |
| 10. დინარა საფინა (რუსეთი) | 1416 |
| 11. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1391 |
| 12. ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 1280 |
| 13. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 1197 |
| 14. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 1187 |
| 15. ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 1134 |
| 16. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1120 |
| 17. ფრანჩესკა შიავონე (იტალია) | 1120 |
| 18. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 923 |
| 19. ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია) | 922 |
| 20. ნა ლი (ჩინეთი) | 876 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინ-არდენი (ბელგია) | 3473 |
| 2. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2947 |
| 3. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2802 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2533 |
| 5. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 2029 |
| 6. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1943 |
| 7. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 1860 |
| 8. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1851 |
| 9. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1615 |
| 10. დინარა საფინა (რუსეთი) | 1442 |
| 11. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1304 |
| 12. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 1169 |
| 13. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1124 |
| 14. ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 1000 |
| 15. ფრანჩესკა შიავონე (იტალია) | 980 |
| 16. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 976 |
| 17. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 930 |
| 18. ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია) | 929 |
| 19. ნა ლი (ჩინეთი) | 881 |
| 20. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 855 |

# რუსი ჩაკვეტაძე და ამერიკელი ვანია

**კვირას** ერთბაშად 5 ტურნირი მიილია, რომლებზეც ორი კანონზომიერება გამოვლინდა — კაცთა შორის ძველმა ჩემპიონებმა იხეირეს, ქალთა ტურნირებზე კი თინეიჯერებმა გაიხარეს.

ექსჩემპიონებით დავიწყოთ — ნიკოლაი დავიდენკომ ერთწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ იმარჯვა კრემლის თასზე, ხოლო ივან ლიუბიჩიჩმა და ჯეიმს ბლეიკმა შარშან მოპოვებული ტიტულები დაიცვეს.

ლიუბიჩიჩმა ვენაში იმარჯვა. ხორვატმა მთელი ტურნირი არათუ სეტ, არამედ მოწოდების წაუგებლად გაიარა და ფინალშიც მშრალად მოუთავა საქმე ფერნანდო გონსალესს.

„როგორც სახლში, ისე ვგრძნობ აქ თავს. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ამ კორტებზე დაუმარცხებელი ვარ" — სენტიმენტალური იყო ნამატჩევს ლიუბიჩიჩი.

ისე, ამ გამარჯვებით ხორვატმა თითქმის გაინაღდა წლის შემაჯამებელ ტურნირზე თამაში. არადა, სწორედ შანხაიში მოსახვედრად ეს ფინალი გონსალესისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო — ჩილელი გამარჯვების შემთხვევაში შეამცირებდა რეიტინგში მერვე ადგილზე მყოფ დავიდ ნალბანდიანთან ჩამორჩენას, თუმც გონსალესს იმედები დაემსხვრა და არგენტინელს უკვე 75 ქულით ჩამორჩება, რისი დაძლევაც დარჩენილ ერთ თვეში არარეალურია.

საშანხაიე შანსები გაიუმჯობესა ჯეიმს ბლეიკმაც, რომელსაც მეორე წელია, სტოკჰოლმში ვერ მორევიან. ამერიკელმა ფინალში საზიზღრად კი ითამაშა თავის მოწოდებაზე, მაგრამ იარკო ნიემინენს მაინც უპრობლემოდ მოუგო.

ამ ტრიუმფით შავტუხა იანკმა კლასიფიკაციაში მეექვსე ადგილი გაიმყარა და ახლა ტომი რობრედოს უკვე 14 ქულით უსწრებს.

მოკლედ, ბლეიკის „ოქროს სეზონი" გრძელდება. წლევანდლამდე ორი ტურნირის მომგებმა ამერიკელმა მიმდინარე სეზონში უკვე მეხუთე ტიტული მიითვალა და ამ მაჩვენებლით რაფაელ ნადალსაც დაეწია. მათზე მეტი კი წლეულს მხოლოდ როჯერ ფედერერს (9 ტიტული) აქვს მოგებული.

დავიდენკოს მოსკოვში გასამარჯვებლად თანამემამულე მარატ საფინის დამარცხება დასჭირდა. სხვათა შორის, „კრემლის თასის" არსებობის 17-წლიან ისტორიაში კაცთა ტურნირის ფინალი სრულიად რუსული პირველად გამოვიდა, თან საკმაოდ საინტერესო. მისი გადამწყვეტი მომენტი მესამე სეტის მეშვიდე გეიმში დადგა — კოლიამ აქ გააკეთა საჭირო ბრეიკი და „ოლიმპიისკის" კორტებზე მეორედ მოიწყო ზეიმი.

ახლა კი ქალთა ტურნირებს შევეხოთ და „კრემლის თასით" დავიწყოთ, რომელიც სწრაფად პროგრესირებადი ანა ჩაკვეტაძის გამარჯვებით დასრულდა. ანამ წინა კვირასაც იმარჯვა გუანჯოუში, რაც მისთვის პირველი ტიტული იყო. თუმც მოსკოვში პირველობა მისთვის, ალბათ, უფრო მეტს ნიშნავს, რადგანაც მშობლიურ ქალაქში მოიგო, თან გაცილებით სერიოზულ და წარმომადგენლობით ტურნირზე.

ჩაკვეტაძემ ფინალამდე სლალომივით გაიარა დინარა საფინა, ფრანჩესკა სვიავონე და ელენა დემენტიევა, გადამწყვეტ მატჩში კი ტოპათეულის კიდევ ერთი წარმომადგენელი, ნადია პეტროვაც დასცა. ისე, ანას გაუმართლა კიდეც, როცა ჯერ მეოთხედფინალში ტრავმის გამო მას მარია შარაპოვა ვერ ეთამაშა, შემდეგ კი ფინალში პეტროვაც ვერ იყო ჯანზე, თანაც გადაღლილი გახლდათ — ბოლო თოთხმეტ დღეში მეათე შეხვედრას ატარებდა. თუმც ჩაკვეტაძის გამარჯვებას ეს ფაქტები მაინც ვერანაირად ვერ აუფერულებს.



ანა ჩაკვეტაძემ ნადია პეტროვა ზურგსუკან მოიტოვა

ბანგკოკშიც თინეიჯერმა, ოღონდ ამჯერად ამერიკელმა ვანია კინგმა გაიხარა. შავტუხა იანკიმ ადგილობრივთა კერპი, ვეტერანი ტამარინ ტანასუგარნი მხოლოდ მესამე სეტში გატეხა და პირველი ტიტულიც გაინაღდა.

უნდა ითქვას, რომ წლეულს თინეიჯერებმა ქალთა ჩოგბურთში ფრიად გაილაღეს. კინგი მეცხრე ოცწლამდელია, ვინც წლეულს ტურნირი მოიგო და ამერიკელი ვანიაც უკვე მარია შარაპოვას (მაშა, უკვე იმდენი ხანია, დიდ ჩოგბურთს თამაშობს, რომ ბევრს აღარ ახსოვს მისი ასაკი, არადა, რუსი პრიმა მხოლოდ 19 წლისაა), ნიკოლ ვაიდიშოვას, ანა ივანოვიჩისა და ანა ჩაკვეტაძის მარაქაში გაერია.

**ბაჩა ლომაშვილი**

ავტორბოლა

# ფინურ-ფორდული დუბლი



მარკუს გრონჰოლმი

**უამინდო** პირობებში მოუხდათ მრბოლელებს თურქეთში ჯირითი. კოკისპირული წვიმისა და სეტყვის გამო საკურორტო ქალაქ ანტალიის მახლობელი მიწაღორღიანი გზები ისე ატალახდა და საშიში გახდა, რომ ორგანიზატორებმა პირველ დღეს სამი ჩქაროსნული უბანი გააუქმეს.

ჩემპიონატის ლიდერ სებასტიენ ლოების არყოფნაში, რომელმაც სამიოდე კვირის წინ ველოსიპედით ვარჯიშისას ხელი მოიტეხა, ფავორიტად მისი ერთადერთი საგვირგვინო კონკურენტი მარკუს გრონჰოლმი ითვლებოდა და დამაჯერებელი გამარჯვებაც იზეიმა. 37 წლის ფინელმა თავიდანვე ხელთ იგდო მეწინავეობა და საშიში, სრიალა გზები ბოლომდე უმარცხოდ გაიარა.

მარკუსს მთავარი მეტოქე პეტერ სოლბერგი დისტანციის ორი მესამედი კვალში მისდევდა და მეორე ადგილიც თითქმის განაღდებული ჰქონდა, მაგრამ „სუბარუ" ტალახში ჩაფლულ ლოდს მიახეთქა და საბოლოოდ მე-14 პოზიციაზე ერგო.

იყოჩაღა „ჰოლივუდ" პეტერის უფროსმა ძმამ ჰენინგმა, რომელიც კარიერაში პირველად შედგა პოდიუმზე.

მეორე ადგილზე კი გრონჰოლმის თანამემამულე-თანაფორდელი მიკო ჰირვონენი გავიდა. ასე რომ, „ფორდ-ფოკუსმა" წლეულს პირველი დუბლით იპირველა და ულოებო „სიტროენ-კრონოსს" კონსტრუქტორთა თასზე ლიდერობა ჩამოართვა.

ლოების შემცვლელი, 38 წლის შოტლანდიელი ექსჩემპიონი კოლინ მაკრეი ურიგოდ არ გამოიყურებოდა, მაგრამ მეშვიდე პოზიციაზე მყოფი, დასკვნით, მე-19 სპეცმონაკვეთზე ელექტრონიკის მიზეზით გამოეთიშა ბრძოლას.

მომდევნო ეტაპი 27-29 ოქტომბერს ავსტრალიაში გაიმართება.

**გია ახალაძე**

## WRC მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში

მეცამეტე ეტაპი. თურქეთი 340 კმ

### რბოლის შედეგები

| | | |
|---|---|---|
| 1 | მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, ფორდი) | 3სთ; 28.16,3 |
| 2 | მიკო ჰირვონენი (ფინეთი, ფორდი) | ჩამორჩა 2.23,4 |
| 3 | ჰენინგ სოლბერგი (ნორვეგია, პეჟო) | 3.06,0 |
| 4 | ხავიერ პონსი (ესპანეთი, სიტროენი) | 3.27,4 |
| 5 | კატო კატაიამაკი (ფინეთი, ფორდი) | 3.28,5 |
| 6 | კრის ატკინსონი (ავსტრალია, სუბარუ) | 3.36,5 |
| 7 | დანიელ სორდო (ესპანეთი, სიტროენი) | 4.24,8 |
| 8 | მანფრედ შტოლი (ავსტრია, პეჟო) | 4.30,3 |

### საერთო ჩათვლა

1 ლოები — ელენა (საფრანგეთი, სიტროენი) 112 ქულა; 2 გრონჰოლმი — რაუტიაინენი 87; 3 ჰირვონენი — ლეჰტინენი 47; 4 სორდო — მარტი 43; 5 შტოლი — მინორი 34; 6 ჰენინგ სოლბერგი — მენკერუდი 25; 7 პეტერ სოლბერგი — მილსი (ნორვეგია, სუბარუ) 23; 8 გარდმაისტერი — ჰონკანენი (ფინეთი, პეჟო) 20; 9 პონსი — დელ ბარიო 18; 10 ატკინსონი — მაკნილი 17

### კონსტრუქტორთა თასი

BP-ფორდი 153 ქულა, კრონოს ტოტალ სიტროენი 145, სუბარუ WRT 83, OMV პეჟო ნორვეი 67, სტობარტ ფორდი 35, რედ ბულ შკოდა 23

მოტორბოლა



# როსი ისევ ბოსია

**ესტორილის** ოთხკილომეტრიან ტრეკზე, რომელსაც არაერთხელ უმასპინძლია ფორმულა 1-ის ეტაპებისთვის, მოტომხედართა სეზონის ბოლოსწინა ჯირითი გაიმართა.

სატურნირო ვითარება ისეთი იყო, რომ ყველაზე პრესტიჟულ, „სამეფო კლასში" და 250-კუბურ სანტიმეტრიან კატეგორიაშიც, შესაძლოა, გვირგვინოსანი ვადამდე გარკვეულიყო. შეგახსენებთ, 125-იანში ტიტული ერთი თვის წინ გაინაღდა ესპანელმა ალვარო ბატისტამ.

„მოტო გრან პრის" ამერიკელი ლიდერი ნიკი ჰეიდენი 12 ქულით უსწრებდა ამ კლასის ხუთგზის ჩემპიონ ვალენტინო როსის და პორტუგალიაში მეოთხე ადგილიც ეყოფოდა (როსის მარცხის შემთხვევაში) პირველად ტიტულის მოსაპოვებლად, მაგრამ უკვე მეხუთე წრეზე ავარიისას იგი თანაჰონდელმა დენი პედროსამ თან წაიყოლა და ლიდერობას ვილა ჩივის, საერთოდ უქულოდ დატოვა.

პორტუგალიის „სამეფო" დიდი პრიზის მფლობელი კი მხოლოდ ფოტოფინიშმა გაარკვია — ესპანელმა ტონი ელიასმა წამის ორი მეათასედით აჯობა როსის. ისე, „დოქტორმა" ვალენტინომ ამ მეორე ადგილის ხარჯზეც მაგრად იხეირა, რადგან საამისო 20 ქულით ჰეიდენს მეწინავეობა ჩამოართვა და საერთო მერვე ტიტულის რეალური შანსიც გაუჩნდა.

ცნობისთვის, როსი მოტოსეზონის დასრულების შემდეგ, ნოემბერში მერალეთა მსოფლიოს ჩემპიონატის ახალზელანდიურ ეტაპში მიიღებს მონაწილეობას.

მოტომრბოლელები ჩემპიონატს ორ კვირაში, 29 ოქტომბერს დაამთავრებენ.

**გია ახალაძე**

## მსოფლიოს ჩემპიონატი. XVI ეტაპი

### პორტუგალიის დიდი პრიზი. *ესტორილი— 4,182 კმ*

#### მოტო გრან პრი — 117,1 კმ

| | | |
|---|---|---|
| 1 | ტონი ელიასი (ესპანეთი, ფორტუნა ჰონდა) | 46 წთ; 8,7 |
| 2 | ვალენტინო როსი (იტალია, იამაჰა) | ჩამორჩა 0,002 |
| 3 | კენი რობერტსი (აშშ, ტიმ რობერტსი) | 0,2 |

#### საერთო ჩათვლა

1 როსი 244 ქულა; 2 ნიკი ჰეიდენი (აშშ, რეპსოლ ჰონდა) 236; 3 მარკო მელანდრი (იტალია, ფორტუნა ჰონდა) 217; 4 ლორის კაპიროსი (იტალია, დუკატი მარლბორო) 209; 5 დანიელ პედროსა (ესპანეთი, რეპსოლ ჰონდა) 202

#### 250 სმ³— 108,7 კმ

| | | |
|---|---|---|
| 1 | ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, ჰუმანჯესტ ჰონდა) | 44 წთ; 30,7 |
| 2 | ჰიროსი აოიამა (იაპონია, რედ ბულ KTM) | ჩამორჩა 0,01 |
| 3 | ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, ასპარ აპრილია) | 0,35 |

#### საერთო ჩათვლა

1 ხორხე ლორენცო (ესპანეთი, ფორტუნა აპრილია) 276 ქულა; 2 დოვიზიოსო 263; 3 დე ანჯელისი 203; 4 აოიამა 193; 5 რობერტო ლოკატელი (იტალია, ტოტი აპრილია) 171

#### 125 სმ³— 96,2 კმ

| | | |
|---|---|---|
| 1 | ალვარო ბატისტა (ესპანეთი, ასპარ აპრილია) | 40 წთ; 48,8 |
| 2 | ჰექტორ ფაუბელი (ესპანეთი, ასპარ აპრილია) | ჩამორჩა 15,1 |
| 3 | მიკა კალიო (ფინეთი, რედ ბულ KTM) | 15,1 |

#### საერთო ჩათვლა

1 ბატისტა 325 ქულა; 2 კალიო 242; 3 მატია პასინი (იტალია, ასპარ აპრილია) 185; 4 ფაუბელი 172; 5 სერხიო გადეა (ესპანეთი, ასპარ აპრილია) 144

ჰოკეი




ბომბარდირები: იარომირ იაგრი (რეინჯერსი) 10(2+8), მარტინ ჰავლატი (ჩიკაგო) 10(6+4), კრის დრური (ბუფალო) 9(6+3), მაიკლ ნიულანდერი (რეინჯერსი) 9(2+7), კილ ველვუდი (ტორონტო) 8(1+7), ოლი იოკინენი (ფლორიდა) 8(3+5), ბრენდან შენაჰენი (რეინჯერსი) 8(6+2), მატს სუნდინი (ტორონტო) 8(4+4), მარიან ჰოსა (ატლანტა) 8(5+3)

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

15 ოქტომბერი

**ანაჰაიმი 3:4 დალასი**

*1:0 0:3 2:0 0:0 (0:1 ბულიტები)*

1:0 მარჩანტი (17), 1:1 ზუბოვი (23), 1:2 ჰაგმანი (29), 1:3 მიეტინენი (38), 2:3 ნიდერმაიერი (50), 3:3 მაკდონალდი (60)

### აღმოსავლეთ კონფერენცია

| ატლანტიკა | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 4 | 3 | 1 | 0 | 15:11 | 6 |
| პიტსბურგი | 4 | 2 | 2 | 0 | 11:12 | 4 |
| აილენდერსი | 5 | 2 | 3 | 0 | 14:17 | 4 |
| რეინჯერსი | 5 | 2 | 3 | 0 | 21:23 | 4 |
| ფილადელფია | 5 | 1 | 3 | 1 | 11:17 | 3 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ბუფალო | 5 | 5 | 0 | 0 | 22:15 | 10 |
| ტორონტო | 6 | 3 | 1 | 2 | 22:19 | 8 |
| მონრეალი | 4 | 2 | 0 | 2 | 12:11 | 6 |
| ოტავა | 5 | 2 | 3 | 0 | 10:14 | 4 |
| ბოსტონი | 5 | 1 | 3 | 1 | 10:21 | 3 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ატლანტა | 6 | 4 | 1 | 1 | 20:11 | 9 |
| ფლორიდა | 6 | 3 | 2 | 1 | 19:20 | 7 |
| კაროლინა | 6 | 2 | 3 | 1 | 16:22 | 5 |
| ვაშინგტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 12:14 | 4 |
| ტამპა | 5 | 2 | 3 | 0 | 11:10 | 4 |

### დასავლეთ კონფერენცია

| ცენტრი | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 5 | 2 | 2 | 1 | 12:16 | 5 |
| კოლუმბუსი | 4 | 2 | 1 | 1 | 12:13 | 5 |
| დეტროიტი | 4 | 2 | 1 | 1 | 14:8 | 5 |
| ჩიკაგო | 4 | 2 | 2 | 0 | 18:16 | 4 |
| ნეშვილი | 4 | 1 | 3 | 0 | 16:18 | 2 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| მინესოტა | 5 | 5 | 0 | 0 | 19:10 | 10 |
| ედმონტონი | 4 | 3 | 1 | 0 | 14:10 | 6 |
| კალგარი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:13 | 5 |
| ვანკუვერი | 5 | 2 | 2 | 1 | 13:14 | 5 |
| კოლორადო | 4 | 1 | 1 | 2 | 10:12 | 4 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| დალასი | 5 | 5 | 0 | 0 | 18:8 | 10 |
| ანაჰაიმი | 5 | 3 | 0 | 2 | 15:13 | 8 |
| სან ხოსე | 5 | 4 | 1 | 0 | 21:15 | 8 |
| ლოს ანჯელესი | 5 | 2 | 3 | 0 | 13:15 | 4 |
| ფინიქსი | 5 | 1 | 4 | 0 | 11:23 | 2 |

*თ — თამაში, მ — მოგება, წ — წაგება, სწ — საოვერტაიმო წაგება, შ — შაიბები, ქ — ქულები*


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge